ახალი განათლება

2009 წელი, 15-21 იანვარი

ფასი 90 თეთრი

№1 (435) გამოდის 1998 წლიდან

გილოცავთ შობა-ახალ წელს

ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ-საქართველო“ ახალი ფორმატით გთავაზობთ 2009 წლის ტრენინგ-პროგრამებს

1. სკოლის ფსიქოლოგების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე.
ტრენინგზე განიხილება:

- ფსიქოლოგის როლი სკოლის ცხოვრებაში;
- ფსიქოლოგის ურთიერთობა დამრიგებლებთან;
- ურთიერთობისა და ბავშვის ფსიქოლოგიის პრინციპები;
- მეტყველების კულტურა;
- კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები;
- განვითარების თეორიები;
- პროფესიული და სასწავლო გარემო.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 120 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 30 იანვარი, 16 სთ.

2. სამოქალაქო ეკონომიკის მასწავლებლების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე.
ტრენინგზე განიხილება:

- სამოქალაქო ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა;
- საპროექტო განაცხადი – მოსწავლეთა კომპანია;
- ეკონომიკის საათების განაწილების უახლესი სქემა.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 140 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: მასწავლებლის მეთოდური წიგნი და შესაბამისი სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 30 იანვარი, 16 სთ.

3. სკოლის PR

საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 3 დღე.
ტრენინგზე განიხილება:

- ინფორმაციული მენეჯერის უფლება-მოვალეობები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის **(PR)** ტექნოლოგია;
- **PR** გეგმის შემუშავება **SOSTAC-SWOT** ანალიზი;
- იმიჯი და სკოლის იმიჯის შექმნა;
- კრიზისული **PR**;
- ინფორმაციის მართვა.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და ჯუნიორ ეჩივმენტის ტრენერები.
ფასი: 200 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 30 იანვარი, 16 სთ.

4. სასწავლო ნაწილების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე. ორი შაბათ-კვირა, სულ 16 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- სასწავლო ნაწილის ადგილი და როლი სკოლის ცხოვრებაში;
- სკოლის სასწავლო ნაწილის უფლება-მოვალეობები, პრაქტიკული მაგალითები;
- მენეჯმენტის არსი;
- საორგანიზაციო ეთიკა;
- თემთან ურთიერთობა;
- მოდელირებული სავარჯიშოები სასწავლო ნაწილებისათვის.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტები და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 100 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 30 იანვარი, 16 სთ.

5. საქმეთა მმართველების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე. ორი შაბათ-კვირა, სულ 16 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- საქმეთა მმართველი და ახალი ამოცანები;
- საქმეთა მმართველის უფლება-მოვალეობები, პრაქტიკული მაგალითები;
- საორგანიზაციო ეთიკა;
- თემთან ურთიერთობა;
- მოდელირებული სავარჯიშოები საქმეთა მმართველებისათვის.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტები და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 100 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 30 იანვარი, 16 სთ.

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
„ვი თი ბი ჯორჯია“ ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101666,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204997922,
ანგარიშსწორების ანგარიში: 25203608

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 38 36 70 – მირანდა (ოფისის მენეჯერი)
893 10 44 25 – ნინო (ტრენინგების მენეჯერი)
მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6, III სართული, ოთახი №301
(გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი-ალმამატერი)

განათლების მინისტრის ბრიფინგი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ** ხელი მოაწერა მასწავლებლებისთვის ხელფასის გაზრდის და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების ბრძანებას.

იანვრიდან ხელფასები ეტაპობრივად მოიმატებს, ხოლო მასწავლებელთა სამუშაო სტაჟის, განათლების და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, პედაგოგების 70%-ის ხელფასი იანვრიდან არა 25 ლარით, არამედ, საშუალოდ, 32 ლარით გაიზრდება. მატება მნიშვნელოვნად აისახება დამრიგებელთა ანაზღაურებაზეც. საბაზო ხელფასის გაზრდისა და სადამრიგებლო დანამატის გათვალისწინებით, კლასის დამრიგებელთა სახელფასო მატება სექტემბრიდან 100 ლარამდე იქნება.

მინისტრი სკოლის ვაუჩერული დაფინანსების საკითხსაც შეეხო: *„ყველა მცირეკონტინგენტიანი სკოლა გაზრდილ დაფინანსებას მიიღებს. მთლიანობაში კი სასკოლო ვაუჩერის დაფინანსება 30 მილიონი ლარით გაიზრდება, ხოლო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო გრანტების ოდენობა 8 მილიონი ლარით მოიმატებს“* – განაცხადა **ნიკა გვარამიამ**.

მან სხვა მიმდინარე აქტუალურ საკითხებზეც ისაუბრა: სახელმწიფო კვლავ სრულად უზრუნველყოფს სკოლებს მატერიალური რესურსებით, სკოლებისთვის კომუნალური გადასახადებისთვის და ზამთრის საჭიროებების დასაფარად სამინისტრომ, იანვრის თვეში, 1 141 072 ლარი გამოყო.

ბრიფინგის დასასრულს, ნიკა გვარამიამ ყველას, მათ შორის საქართველოს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, მეცნიერებს და ჟურნალისტებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ომმა დაგვამეგობრა

ომის საშინელმა ქარცეცხლმა გადაუარა მთლიანად საქართველოს, განსაკუთრებული ჭრილობები კი სამაჩაბლომ და შიდა ქართლმა მიიღო. გადამთიელებისგან დასაცავად აქ მაცხოვრებლებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარეს თავი. უმეტესობამ კი – დედაქალაქს. ასე აღმოჩნდა ტყვიავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ერთი ნაწილი თბილისის №19 საჯარო სკოლაში. სკოლის ხელმძღვანელობამ გულთბილად მიიღო ომისგან შეშინებული, გაოგნებული ბავშვები, მათი მშობლები.

სწავლის დაწყება მშობლიურ სოფელ ტყვიავში იგვიანებდა (მომხდურები არ ჩქარობდნენ მის დატოვებას), ამიტომ უყოყმანოდ შეაღეს აღნიშნული სკოლის კარი 15 სექტემბერს არა როგორც თავშესაფარი, არამედ – როგორც ცოდნის ტაძარი. მართალია, სწავლის დაწყების სიხარულს ერთგვარი ჩრდილი ადგა – ეს მონატრებული მშობლიური სკოლა იყო, მაგრამ იმედი, დაბრუნებულიყვნენ სკოლაში მალე უნდა ასრულებულიყო. ეს სურვილიც 13 ოქტომბერს ახდა. მოსწავლეები სიხარულით გამოეშურნენ მშობლიური სკოლისკენ, თან წამოიღეს ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელიც თბილისის №19 სკოლის დირექციამ, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა გამოატანეს. ბავშვები ყოველ წუთს გრძნობდნენ მათ თანადგომას, პატივისცემას. დატოვეს სკოლა, რომელიც სულ მოკლე ხანში მშობლიურივით შეუყვარდათ.

თბილისის №19 საჯარო სკოლამ არა თუ შეიკედლა პატარები, არამედ მათთან ურთიერთობა დღემდე არ გაუწყვეტია.

მოსწავლეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ მოსანახულებლად, ახლა უკვე მასპინძლის როლში, თავიანთ პედაგოგებს, ამხანაგებს და მათ მშობლებს დახვდნენ ტყვიავის საჯარო სკოლაში. სტუმრების ზურგს უკან კი მთელი სკოლა სუნთქავდა: რუსული თუ ქართული სექტორი, პირველკლასელი თუ მეთორმეტეკლასელი. მათგან გამოგზავნილი უამრავი საჩუქარი კიდევ ერთი დასტური იყო იმ დიდი თანადგომისა, რომელიც აღნიშნულმა სკოლამ დევნილ მოსწავლეებს გაუწია.

უღრმესი მადლობა ყველა იმ საჯარო სკოლას, საბავშვო ბაღს, დაწესებულებას თუ კერძო პირს, ვინც ტყვიაველი მოსწავლეები გულში ჩაიკრა და მშობლიური სითბო აგრძნობინა, ჭრილობები მოუშუშა და მომავლის იმედი ჩაუსახა.

აღარასოდეს ენახოთ ჩვენს მოსწავლეებს ომის საშინელება.

თინა გიძინაშვილი
ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ქალაქების: გაგრის, სოხუმის, ტყვარჩელის; რაიონების: გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის განათლების განყოფილებების (1992-2004 წლებში) თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, არაერთი ორდენისა და მედლის კავალერი, მწერალი, პოეტი-აკადემიკოსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი 1992-2004 წლებში

ჯანო დიანოზის ძე ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სასკოლო კონფერენცია

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლაში (სკოლის დირექტორი **ნატო გაბოშვილი**) 23 დეკემბერს გაიმართა სასკოლო კონფერენცია თემაზე: „ინტეგრირებული გაკვეთილები“.

კონფერენციის მიზანი იყო:

- ინტეგრირებული გაკვეთილის დანერგვის ხელშეწყობა;
- ისტ-ის აქტიური გამოყენება და ინტეგრირება სხვადასხვა სასკოლო დისციპლინებთან;
- მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება.

სასკოლო კონფერენცია გაიმართა კომპიუტერულ ლაბორატორიაში. რეგისტრაცია გაიარა 49 ადამიანმა. დამსწრეთა შორის იყვნენ: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის რესურსცენტრის უფროსი **ნათია ჩხენკელი**, სკოლის მასწავლებლები, სამეურვეო საბჭოს წევრები, მშობლები.

კონფერენციაზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემდეგი გაკვეთილები:

გაკვეთილის თემა	კლასი	საგნები	მასწავლებლები
მათემატიკა ზღაპრით სამი გოჭი	III	მათემატიკა, ქართული, ხელოვნება, მუსიკა	მარინა სუთიძე, ქეთი ელიავა, ნია ხუხუნაშვილი, გულიკო ქურდიანი
მუსიკა და ფერები	V	ხელოვნება, მუსიკა	მაია კაციტაძე, ლალი ჭიკაიძე
წავი მხატვარი გახდება	V	მათემატიკა, ფრანგული	პაატა ჩორგოლაშვილი, ხათუნა კიკნაძე
ბუნების აღქმა ქართულ მწერლობაში	VI	ქართული, ბიოლოგია	მარიკა მუმლაძე, ია კაკულია
აღმ. საქართველოს ცხოველთა და მცენარეთა საფარის ურთიერთდამოკიდებულება	VII	გეოგრაფია, ბიოლოგია	დარეჯან ფაღავა, ია კაკულია
საუკუნის გამოფენა	VIII	მუსიკა, ფრანგული, ხელოვნება	ლალი ჭიკაიძე, მაკა ნადარეიშვილი, იზა თავაძე
ჩემი ქალაქის ხიდები	IX	მათემატიკა, ქართული, ისტორია	ნინელი ხარებავა, კახა თოდაძე, ლარისა კიკიანი
საქართველო-ეკოლოგიური პრობლემები	X	გეოგრაფია, ბიოლოგია	დარეჯან ფაღავა, ია კაკულია
ბიოგენური ელემენტები	X	ქიმია, ბიოლოგია	მერი ცაკაშვილი, თამარ შიუკაშვილი
გალია რომის პროვინცია	XI	ფრანგული, ისტორია	ქეთი ძულიაშვილი, ლალი შენგელია

ნინო მარღიშვილი (დაწყებითი) თავმჯდომარე
ნინო ნაბახტეველი (საბ.-საშ.) თავმჯდომარე
დალი გოცირიძე (დაწყებითი) წევრი
ნინო გაჩეჩილაძე (დაწყებითი) წევრი
ნელი ბუაძე (საბ.-საშ.) წევრი
მარინე გაჩეჩილაძე (საბ.-საშ.) წევრი

კონფერენციის დროს გაკვეთილის ავტორებს საშუალება ჰქონდათ, ინფორმაციული ტექნოლოგიების, პროექტორის გამოყენებით, წარედგინათ კომისიის წინაშე თავიანთი ნამუშევრები (მომზადებული პრეზენტაცია, გამოყენებული მასალები, გაკვეთილის მიმდინარეობა და სხვ.). გაკვეთილის გეგმის წარმდგენმა მასწავლებლებმა გააკეთეს 10-წუთიანი პრეზენტაცია.

კონფერენციის შედეგები შეაფასა კომისიამ (შექმნილი იყო ორი კომისია საფეხურების მიხედვით, დაწყებითი და საბაზო-საშუალო), რომლის შემადგენლობაში იყვნენ:

კომისიის წევრებმა შეაფასეს წარდგენილი გაკვეთილები შემდეგი კრიტერიუმებით: რამდენად ორგანულად იყო საგანთშორისი ინტეგრაცია, რამდენად ეფექტურად იქნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენებული გაკვეთილის პროცესში, რამდენად ნათლად იყო დასმული გაკვეთილის მიზანი და ეროვნული სასწავლო გეგმის რომელი საგნობრივი სტანდარტის მიღწევას უწყობდა ხელს, რამდენად ზუსტად იყო შერჩეული სასწავლო აქტივობები და სხვ.

ყოველივე აქედან გამომდინარე დაწყებით საფეხურზე გამარჯვებული გახდა გაკვეთილი „წავი მხატვარი გახდება“, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე – გაკვეთილი „ჩემი ქალაქის ხიდები“. თითოეული გაკვეთილის ირგვლივ დაისვა შეკითხვები: რით იყო მნიშვნელოვანი გაკვეთილი? როგორი იყო მოსწავლეთა მოტივაცია? რას შეცვლიდით გაკვეთილის მსვლელობაში? რამდენად გამოდგება გაკვეთილი სხვისთვის გასაზიარებლად?..

სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრმა, მშობელმა, **ნია სამუშიამ** გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ, სასურველია, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების ტენდენცია დაინერგოს და მოსწავლეებს მიეცეთ მაქსიმალურად მეტი დავალება, რათა საკუთარი შესაძლებლობები უკეთესად გამოავლინონ.

„დღეს წარმოდგენილი ერთ-ერთი გაკვეთილი ფრანგულ ენაში ჩემი შვილის კლასში ჩატარდა. მე ვუყურებდი, როგორი ხალისით და ენთუზიაზმით ამზადებდა იგი მასალებს სხვადასხვა წყაროს საშუალებით. უდავოდ შეიძლება იმის თქმა, რომ მოსწავლეები სიამოვნებით მონაწილეობენ სწავლების თანამედროვე მიდგომების რეალიზებაში, დარწმუნებული ვარ, რომ ამ სკოლაში (როგორც სხვა ბევრი საინტერესო წამოწყება) ეფექტურად დაინერგება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მეთოდიკა“, – აღნიშნა მე-8 კლასის მოსწავლის მშობელმა, **ლელა ჟვანიამ.**

ბოლოს, სკოლის დირექტორმა, ნატო გაბოშვილმა შეაჯამა კონფერენციის შედეგები, რეკომენდაციები მისცა პედაგოგებს. ყველა მონაწილე პედაგოგს გადასცა სერტიფიკატი, მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს აქტიური მონაწილეობისთვის და წარმატებები უსურვა. მანვე აღუთქვა ყველანაირი დახმარება და მხარდაჭერა პედაგოგებს, სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

„შობის ციკლი ქართულ მინიატურაში“

შობა. ანგელოზების ხარება მწყემსებს. მოგვთა თაყვანისცემა. გელათის სახარება. XII ს.

9-19 იანვარის ჩათვლით, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საშობაო გამოფენა წარმოადგინა, სახელწოდებით „შობის ციკლი ქართულ მინიატურაში“. დამთვალიერებელს საშუალება მიეცა, ეხილა ერთად თავმოყრილი და სიუჟეტური თანმიმდევრობით წარმოჩენილი უნიკალური ქართული საეკლესიო ხელნაწერები ქრისტეს შობის ამსახველი კომპოზიციებით.

გამოფენაზე წარმოდგენილი თემა 13 სახარებისეულ სიუჟეტს მოიცავდა:

ხარება; მარიამის შეხვედრა ელისაბედთან; იოანე ნათლისმცემლის შობა; ზაქარიას წინასწარმეტყველება; იოსების სიზმარი; ანგელოზების ბრძანებით იოსებს მარიამი სახლში მიჰყავს; მარიამი და იოსები ბეთლემისაკენ მიმავალ გზაზე; მოგვების მოსვლა აღმოსავლეთიდან; შეშფოთებული მეფე ჰეროდე მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს გამოჰკითხავს ქრისტეს შობის შესახებ; მოგვები მეფე ჰეროდეს წინაშე; შობა; ანგელოზების ხარება მწყემსებს; მოგვთა თაყვანისცემა.

ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობაში მაცხოვრის შობის კომპოზიცია ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სცენათა რიგს მიეკუთვნება, ამიტომაც გამოფენაზე რაოდენობრივად სწორედ შობის სცენა სჭარბობდა. უფლის შობის სცენა სხვადასხვა იკონოგრაფიული ვერსიით გამოისახებოდა. ზოგიერთი მათგანი მოკლე რედაქციითაა წარმოდგენილი, ხოლო ნაწილი გავრცობილი რედაქციაა, სადაც, მაცხოვრის შობასთან ერთად, სხვა სცენებიცაა გაერთიანებული. მართალია, გვიანი მინიატურები მხატვრული ღირებულებით რამდენადმე ჩამოუვარდება X-XIII საუკუნეების ოსტატობას, მაგრამ , მიუხედავად ამისა, ყოველთვის, თვით უბრალო ნამუშევარიც კი, საღვთო მადლის მატარებელია.

ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი შუასაუკუნეების მინიატურული მხატვრობის ნიმუშებიდან გამოფენაზე ექსპონირებული იყო XI-XVII საუკუნეების შემდეგი საეკლესიო ხელნაწერების მიხედვით მომზადებული ფოტომასალა:

გელათის (XII ს.), II ჯრუჭის (XII ს.), ვანის (XII-XIII სს.), ლარგვისის (XIII ს.), მოქვის (300 წ.) და სხვა ოთხთავები (XVI ს., 1639 წ.), ასევე სვინაქსარი (1030წ.), ფსალმუნნი (1681წ, XIVს.), დაუჯდომელი (1681 წ.), გულანი (XVII ს., XVII ს.).

გარდა ფოტომასალისა, დამთვალიერებელს საშუალება ექნება, იხილოს XVII-XVIII საუკუნეების სხვადასხვა საეკლესიო ხელნაწერები, მათ შორის, სვეტიცხოვლის გულანი (1681 წ.), სადღესასწაულო (1742 წ.), ოთხთავი (1639 წ.), ლიტურგიკული კრებული (1733 წ.), სამოციქულო (XVIII ს.), ჟამნი (XVIII ს.), შემოქმედის გულანი (1749 წ.) და სხვ.

აღნიშნული ხელნაწერები უნიკალურია და გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირებულებით.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილმა პროექტმა შესაძლებლობა მისცა საზოგადოებას, გაცნობოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულ მდიდარ ხელნაწერ და მინიატურულ მემკვიდრეობას.

ლალი ჯელაძე

მარიამი და იოსები ბეთლემის გზაზე. ჯრუჭის II სახარება. XII-XIII სს.

ახალი წიგნები

1+1=10
ლირიკული მათემატიკა

თბილისის 199-ე სკოლა-პანსიონი „კომაროვი“ ფიზიკა-მათემატიკური დისციპლინების გაძლიერებული სწავლებითაა ცნობილი. მე ზემოხსენებულ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. ხშირად მომისმენია მათემატიკის მასწავლებლისაგან: „რა ლამაზი ამოცანააო“. გამკვირვებია მათი და მითქვამს, როგორ შეიძლება მათემატიკური ამოცანა ლამაზი იყოს-მეთქი და აი, მინდა გესაუბროთ წიგნზე, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება და მეტად უჩვეულო სათაური აქვს: 1+1=10.

წიგნის ავტორი **ამირან ამბროლაძე** მეცნიერია, პროფესიით მათემატიკოსი. დაამთავრა თბილისის „კომაროვის“ სახელობის საშუალო სკოლა, შემდეგ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუშაობდა ლონდონში, ხელმძღვანელობდა ევროკავშირის ქვეყნებში მათემატიკის სწავლების ახალ სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამების პროექტს. მოღვაწეობდა შვედეთში, სადაც რამდენჯერმე იყო დასახელებული ლუნდის უნივერსიტეტის წლის საუკეთესო ლექტორად. გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი სტუდენტის ინტერვიუდან: *„ამირან ამბროლაძე რამდენიმე სიტყვით გადმოსცემს მათემატიკას ისე, რასაც სხვები მთელ ლექციაში ვერ ახერხებენ“.*

ამირან ამბროლაძის ნაშრომი საგანგებოდ მათემატიკოსებისათვის არ დაწერილა, ანუ რაიმე სპეციალურ მათემატიკურ ცოდნას არ საჭიროებს. იგი დაიწერა ყველასათვის, ვისაც ინტელექტუალური გამოწვევა უყვარს. გადაშალეთ იგი, ორიოდე გვერდი გადაიკითხეთ და თავს თვითონვე წაგაკითხებთ. ესაა წიგნი დაკვირვებებისა, აღმოჩენებისა. თვითონ თქვენც ისწავლეთ ამ წიგნიდან, როგორ უნდა დაკვირვება, ეგებ აღმოაჩინოთ თქვენეული დაკვირვების შედეგად ისეთი რამ, რაც ჯერ სხვას არ აღმოუჩენია. თუ ვერაფერს აღმოაჩენთ, იმას მაინც ისწავლით, როგორ უნდა ჩაუკვირდეთ ამა თუ იმ საკითხს. სხვათა შორის, ეს წიგნი სხვა მათემატიკური წიგნების კითხვის სურვილსაც აღგიძრავთ, მათემატიკასაც შეგაყვარებთ და ბევრ საკითხზეც ჩაგაფიქრებთ, მაგალითად, იმაზეც, რომ მათემატიკა არც თუ ისე რთული მეცნიერებაა, პირიქით, სახალისოც კი არის.

მწერალი წინასიტყვაობაში გვამცნობს, რომ წიგნი აგებულია სახალისო ლოგიკურ ამოცანებზე. ეს არის იუმორით დაწერილი ისტორია სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ. ორი ყმაწვილი, გარკვეული მათემატიკური შეცდომების გამო, მოხვდება განმარტოებულ კუნძულზე, სადაც მხოლოდ პირატი და მისი ქალიშვილი ცხოვრობენ. მათ უხდებათ მრავალი მახვილგონივრული პრობლემის გადაჭრა, რათა თავი დააღწიონ ამ კუნძულს.

ამოცანების ამოხსნა შესაძლებელია მოთხრობის ტექსტისაგან დამოუკიდებლადაც. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია ამ თავში შემავალი ამოცანის სრული ფორმულირება. წიგნი გათვლილია სწავლების აქტიურ ფორმაზეც, მოსწავლის დამოუკიდებელ მუშაობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს აზროვნების განვითარებას, დასკვნების გაკეთებას. წიგნში გამოყენებულია მათემატიკური ფოლკლორი, სახალისო ამოცანებისა და იუმორისტული ისტორიების სახით.

თუ რატომ გადაწყვიტა ავტორმა, წიგნი ყოფილიყო შემეცნებითი ხასიათისა და, ამავე დროს, გასართობი, ბატონი ამირანი პასუხობს, რომ მას სკოლის პერიოდში ძალიან უყვარდა ქართული ლიტერატურა, განზრახული ჰქონდა ფილოლოგობა, პიონერთა სასახლეში (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) დადიოდა ლიტერატურულ წრეზე „ქართული ენის საუნჯე“, მაგრამ 1977 წელს იუგოსლავიაში გამართულ მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა და ამ წარმატებამ გადაწყვიტა მისი ბედი. ოლიმპიადაზე მიღებული გამოცდილება სახალისო ამოცანების შედგენაში დაეხმარა, ლიტერატურის სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა და მკითხველებს გემოვნებიანი წიგნი შესთავაზა. პედაგოგიურმა მოღვაწეობამ კი ბატონი ამირანი მიახვედრა, რომ მოსწავლეებს უხარიათ წიგნთან შეხვედრა, მათ უფრო მეტი უნდათ, ვიდრე განვითარებული ტექნოლოგია სთავაზობთ, სწორედ ის უნდათ, რასაც ტექნოლოგია ვერ მისცემთ. თუ ვინმე ამას ვერ ხედავს, საკუთარ სიბრმავეს დააბრალოს და გული დასწყდეს, რომ ღმერთმა არ მისცა უნარი წიგნის სიყვარულისა, წიგნით ცხოვრებისა.

დაბოლოს, მწერალი ეჭვს გაუფანტავს იმათ, ვინც მიიჩნევს, რომ მათემატიკა მოსაწყენი მეცნიერებაა, ფანტაზია მხოლოდ პოეტებისთვისაა საჭირო და დარწმუნდება: *„ინტეგრალური და დიფერენციერებული ამოცანებიც კი უფანტაზიოდ წარმოუდგენელია“.*

ამირან ამბროლაძე გისურვებთ სასიამოვნო მოგზაურობას ლოგიკური აზროვნების ლაბირინთში და წარმატებას ზუსტი პასუხების ძიებაში.

ლია გოგოხია
თბილისის 199-ე სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ფსიქოლოგიური გამოკვლევების პედაგოგიური ასპექტები

პროფესორ ნოდარ ბარამიძის ნაშრომის „აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა“ გამოცემის გამო

პროფესორ **ნოდარ ბარამიძის** ყოველი ახალი ნაშრომი არასოდეს ტოვებს გულგრილს კვალიფიციურ მკითხველს, რადგან მისი ავტორი გამოირჩევა მეცნიერული ინტერესების მრავალფეროვნებით, მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისადმი ორიგინალური მიდგომითა და, რაც ყველაზე მთავარია, მეცნიერული და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებით. ეს ითქმის იმ წიგნზეც, რომელიც ახლახან გამოიცა ბათუმში, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გრიფით.

წიგნი თემატიკურად მრავალფეროვანია და, როგორც მისი რედაქტორი, პროფესორი **ირაკლი იმედაძეც** შენიშნავს წინასიტყვაობაში, მასში აშკარად სჭარბობს შორეული მოტივაციის პრობლემასთან მიმართებაში განხილული საკითხები. წიგნის დასახელებაც სწორედ ამან განაპირობა.

ჩემი, როგორც პედაგოგიკის სფეროს წარმომადგენლის ინტერესი, პირველ ყოვლისა, აქსელარაციისა და შორეული მოტივაციური ქცევის ურთიერთმიმართების ავტორისეულმა შეფასებამ გამოიწვია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წიგნში განხილული სხვა საკითხები ჩვენს ცხოველ ინტერესს არ იწვევდეს.

აქსელერაცია და მასთან დაკავშირებული მოვლენების პედაგოგიური გააზრება კარგა ხანია აქტუალურია ჩვენში. როგორც პროფესორი ნოდარ ბარამიძე აღნიშნავს, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქო-ფიზიკური განვითარების აქსელერაციაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ ჩვენშიც და უცხოეთშიც, მაგრამ იგი ბევრი ასპექტით ჯერ კიდევ აუხსნელია. ამიტომაც არის, რომ საიმედო პედაგოგიური დასკვნების გაკეთება ძნელია. ემპირიულად ყველამ კარგად იცის, რომ აქსელერაცია მოზარდთა განვითარებაში აშკარაა. იგი მრავალმხრივ ვლინდება როგორც ფიზიკურ, ისე ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, მაგრამ ასევე აშკარა როდია მისი გამოვლენა ქცევის მოტივაციურ სტრუქტურაში, რასაც ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს პედაგოგიური დასკვნები და მიდგომები.

პროფესორ ნოდარ ბარამიძეს აქსელერაციის პრობლემა მხოლოდ ცნობილ ქართველ (**შალვა ჩხარტიშვილის, მელენტი ზარანდიას, ირაკლი იმედაძის** და სხვ.) თუ უცხოელ ფსიქოლოგთა გამოკვლევების საფუძველზე როდი აქვს განხილული. ეს ერთობ მნიშვნელოვანი პრობლემა მან თვითონ იკვლია 1972-1973 წლებში და იგივე ექსპერიმენტი გაიმეორა 2004-2005 წლებში.



აქსელერაციისა და შორეული მოტივაციური ქცევის ურთიერთკავშირის პედაგოგიური მნიშვნელობა რომ გავიგოთ, უნდა დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევა ისეთი აქტივობაა, რომელსაც უშუალო კავშირი არ აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან, ანუ ეს ქცევა არასოდეს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც თვითონ ჰქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. სწორედ ასეთი ქცევაა სწავლის ქცევა. პედაგოგს აქსელერაციის მოვლენის შესახებ თანამედროვე შეხედულებათა ცოდნა დიდ დახმარებას გაუწევს ადეკვატური გადაწყვეტილებების გამოტანის პროცესში.

პროფესორ ნოდარ ბარამიძის სარეცენზიო ნაშრომში საკითხები სწორედ იმ ლოგიკით არის განხილული, რომ სრულიად აშკარაა შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის განწყობის შემუშავების ფაქტორები. კერძოდ, ავტორი მიუთითებს ყოველი კონკრეტული ქცევის, ასევე შორეული მოტივაციური ქცევის განწყობის შემუშავების ორ ძირითად ფაქტორზე – ნებისყოფასა (სუბიექტურ ფაქტორს) და ობიექტური ღირებულების ცნობიერებაზე.

ჩემი აზრით, მოსწავლის სასწავლო ქცევის შინაარსის, მიმართულებისა და აქტივობის ხარისხის განსაზღვრა ბევრად უფრო ადეკვატური იქნება, თუ პედაგოგი სარეცენზიო წიგნის ავტორის ზემოაღნიშნულ პოზიციას გაითვალისწინებს. უფრო მეტიც. ჩემი რჩევა არა იმდენად ცალკეულ პედაგოგებს ეხებათ, რამდენადაც განათლების იმ ორგანოებს, რომლებიც სასწავლო პროგრამებს, რეკომენდაციებსა და მეთოდურ მითითებებს ადგენენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სარეცენზიო წიგნი თემატური მრავალფეროვნებით გამორჩევა. უაღრესად საინტერესოა ავტორისეული პოზიცია განწყობის თეორიის ზოგიერთი პრობლემური საკითხის, კოლექტივის არსისა და დანიშნულების, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და „პიაჟეს ფენომენის“ დაძლევის უნარის შესახებ და სხვ.

ჩემი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წიგნში შეტანილმა სტატიამ „ეროვნული იდეალების, პედაგოგიური ხელოვნებისა და ფსიქოლოგიური ცოდნის შერწყმის იშვიათი ნიმუში“, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემის ასოცდამეათე წლისთავს ეძღვნება.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებას, კერძოდ, მის უკვდავ „დედა ენას“ მრავალი წიგნი, გამოკვლევა და პუბლიცისტური სტატია მიეძღვნა, მაგრამ ნოდარ ბარამიძის, პროფესიონალი ფსიქოლოგის თვალთახედვით დანახული „დედა ენა“, ვფიქრობ, ორიგინალური და ერთობ საინტერესოა.

ასევე ფრიად საყურადღებოა ავტორის მოსაზრებანი გაბრიელ ეპისკოპოსის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ და ბევრი სხვა რამეც.

მცირე საგაზეთო პუბლიკაცია საშუალებას არ იძლევა საიმისოდ, რომ გამოწვლილვით განვიხილოთ პროფესორ ნოდარ ბარამიძის ერთობ საყურადღებო წიგნი „აქსელარაცია და შორეული მოტივაციური ქცევა“, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ამ წიგნის გამოცემით უდავოდ გამდიდრდა ქართული სამეცნიერო ლიტერატურა.

წიგნისადმი მკითხველის ნდობას ისიც განაპირობებს, რომ მისი რედაქტორია (როგორც უკვე აღვნიშნე) ცნობილი ფსიქოლოგი, პროფესორი ირაკლი იმედაძე, რეცენზენტები კი შესანიშნავი მეცნიერები: პროფესორი **მიხეილ მახარაძე** და პროფესორი **გურამ ჩაგანავა**. თითოეულ მათგანს დიდი პატივისცემითა და მადლიერებით მოვიხსენიებ.

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი

ახალი წიგნები

„სამყაროული მოძრაობა“ – ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების თანამედროვე შედევრი

„უნდა ასწავლონ ჩემს ხალხს წმინდისა და ნალახის გარჩევა და განასხვავებინოს ერთმანეთისაგან გაუწმინდურებული და განწმენდილი“ (ეზეკიელი 44-23).

ქართული წიგნის სამყაროს შეემატა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, აკადემიის სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის, აკაკი (გასავ) გასვიანის ნაშრომი: *„სამყაროული მოძრაობა“*. უპირველესად, ეს ნაშრომი უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნების, ორასი წლის წინ მოკლული ტრადიციის მკვდრეთით აღდგომა. ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ მეცნიერებას აქვს მსოფლიოში სწორუპოვარი აღმოჩენა – მატერიალური და სულიერი სამყაროს შეუღლებული თანაარსებობის კანონისა, როგორც სამყაროს უკატასტროფო (უაპოკალიფსო) არსებობის პირობა. აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება ქართული საღვთისმეტყველო ფილოსოფიური მეცნიერების ამ უნიკალურ სტილს და იმ ტრადიციის გაცოცხლებაა, რაც დამახასიათებელი იყო ქართული კლასიკური სამონასტრო მეცნიერული აკადემიური აზროვნებისთვის.

ინტელექტუალური სასულიერო აზროვნების მეთოდოლოგია, რომელიც შექმნეს ქართული მეცნიერულ-ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ბუმბერაზმა მწვერვალებმა: ცურტაველმა, მერჩულემ, ხანძთელმა, გიორგი, ექვთიმე და გაბრიელ მთაწმინდელებმა, არსენ იყალთოელმა, ჭყონდიდელმა, გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ) და სხვებმა, საღვთისმეტყველო აზროვნების მსოფლიოში უნიკალური მიმართულებაა, რომლის მემკვიდრე გამგრძელებლად, ორასწლოვანი წყვეტის შემდეგ, მოგვევლინა „სამყაროული მოძრაობის“ ავტორი.

ორასწლოვანმა ეგზარხოსულ-კოლონიურმა რეჟიმმა ძირფესვიანად მოსპო ქართულ ეკლესია-მონასტრებში არსებული საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნების ეროვნული ტრადიცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორასწლოვან წყვდიადშიც გამოკრთებოდნენ ეროვნული სულიერი დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მამები, მაგრამ იმპერიული მარწუხები მათ ასპარეზს ყველანაირად კვეცავდა, რის გამოც ეროვნული მართლმადიდებლური აზროვნების აღდგენა შეუძლებელი იყო. ასეთი წინააღმდეგობის მსხვერპლი გახდა, თავის დროზე, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) საღვთისმეტყველო მეცნიერულ-ფილოსოფიური აზროვნებაც, რომელსაც წმინდა ილია მართალი ასე აფასებდა: *„სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდაო“*. გაბრიელ ეპისკოპოსის მცდელობა, ეგზარხოსულ-კოლონიურ პირობებში აღედგინა ქართული ეკლესიის საღვთისმეტყველო მეცნიერულ-ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციები, სამწუხაროდ, წმინდა მღვდელმთავართან ერთად დასამარდა.

„სამყაროული მოძრაობის“ ავტორის უმთავრესი დამსახურებაა, რომ მან აღადგინა და განავითარა ქართული სასულიერო მეცნიერული აზროვნების საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ-მეცნიერული სტილი. ამ ღვაწლით, ავტორმა სავსებით გამორიცხა წმინდა გაბრიელის სასულიერო მეცნიერულ-ფილოსოფიური აზროვნების ტრაგიკულად შეწყვეტის პერსპექტივის გამეორება, რითაც შეგვიძლია, ერთხელ და სამუდამოდ, დავძლიოთ ორასი წლის წინ მძიმე მემკვიდრეობად დატოვებული, ქართველი ერის სულიერი გენოციდის მოვლენა. ამ უკანასკნელის დაძლევით შესაძლებლობა გვეძლევა, აღვადგინოთ ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერება ქართველ ხალხში, რომელზეც დაფუძნებულია ჩვენი წარსულის უნიკალური სულიერ-კულტურული მემკვიდრეობანი. ამ დიდი სულიერი საგანძურის გამოყენებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა აღვიდგენთ ეროვნულ მართლმადიდებლურ ცნობიერებას. ეროვნული საღვთისმეტყველო საფუძვლები მტკიცე პირობას ქმნის, რათა კვლავ მოვიპოვოთ დაკარგული სულიერი სახელმწიფოებრივი სხეულის დამოუკიდებლობა. „სამყაროული მოძრაობის“ ავტორის ამ მიგნების საფუძვლები, ჩემი ღრმა რწმენით, მომდინარეობს სვანური ქრისტიანული ფენომენიდან. იმ ფენომენიდან, რითაც ქართველმა ხალხმა, რუსულ ორასწლოვანი ეგზარხოსულ-იმპერიული ბატონობის პირობებში, საიმედოდ გადაინახა და გადაარჩინა თავისი უმთავრესი სულიერი საუნჯე – ეროვნული მართლმადიდებლური ღირებულებები, ფუსტობის სვანური ტრადიციის მადლით.

„და მისი ბაგეთაგან გამოდიოდა მახვილი ორლესული, რათა მოსრას წარმართნი, და მწყემსდეს მათ რკინის კვერთხით, და დაწურავს ყოვლისმპყრობელი ღმერთის რისხვისა და გულისწყრომის ღვინის საწნახელს“ (გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა 19-15)

არსებული საგაზეთო წერილი საშუალებას არ იძლევა, შევეხოთ ყველა იმ საღვთისმეტყველო მეცნიერულ აღმოჩენას, რომელიც აღნიშნულ ნაშრომშია. განვიხილოთ მხოლოდ რამდენიმე, მაგალითად: *„სამყაროს რომელიმე ნაწილის დაბერებას – ნეკროზისს და შემდეგ ევოლუციით, თანდათანობით გარდაქმნით მის განახლებას ახალი შესაქმეს ანუ პროცესინგს, მის წესრიგს შესაქმის ღვთაებრივი კანონი განაგებს და უწყვეტია ეს პროცესი. მოძრაობაშია ეს პროცესი“*. ავტორის ამ დებულებაში ნათლად არის ასახული სახარების ის არსი, რომელიც ამბობს: *„მე ვარ ანი და მე ვარ ჰაე“* – ყველაფერი იწყება ჩემით და მთავრდება ჩემით.

უკვდავი და მარადიული ძალა, რომელიც მთელ უკიდეგანო სამყაროს მოიცავს და რომელსაც სულიწმინდა ეწოდება, ავტორის მიერ აღმოჩენილი ის „ინფორმაციული ველია“, რომელიც განსაზღვრავს ყოველგვარი მატერიის შექმნას და არსებობას. სწორედ ამ უკანასკნელში სწორად წვდომის მადლი აძლევს „სამყაროული მოძრაობის“ ავტორს საშუალებას, მოიკვლიოს ჯერ კიდევ ადამიანის გონებისთვის უცნობი სამყაროსეული კანონზომიერების ამსახველი მოვლენები.

აღნიშნულ ნაშრომში – განმხოლოება, სამყაროს მატერიალურ და სულიერ მდგენელებს შორის დამტკიცებულია, როგორც აპოკალიფსური მოვლენის საფუძველი და განიხილება, როგორც კატასტროფის, ანუ ღვთიური რისხვის გამოვლინების მიზეზი. ავტორის ამ დებულებათა დასამოწმებლად მარტო ბიბლიური ნოეს ისტორიაც კმარა, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

„სამყაროული მოძრაობის“ ავტორის მიერ შემოთავაზებული „ინფორმაციული ველი“ იგივეა, რაც სულიწმინდა, რომელიც სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასია. ავტორის დასკვნითაც, ეს სიტყვა მადლმოსილი ძალის მატარებელია. სამება-სულიწმინდა სამყაროს არსებობის საფუძველია. სვანური ქრისტიანული ფენომენი სამებას იცნობს ფუსტის, უზენაესი, გონებისთვის მიუწვდომელი არსის სახით. ავტორის დასკვნით, ადამიანის კონფლიქტი გარემომცველ სამყაროსთან იწყება მაშინ, როცა ირღვევა კანონზომიერებითი კავშირები მატერიალურსა და სულიერს შორის, ანუ როცა ვეთიშებით სამების (ფუსტის) მესამე ჰიპოსტასს – სულიწმინდას, ანუ იგივე „ინფორმაციულ ველს“. ამაზე სახარებაც გვაძლევს ზუსტ ფორმულირებას: *„და ყველას, ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება; მაგრამ ვინც იტყვის გმობას სულის წმინდის წინააღმდეგ, არ მიეტევება“* (ლუკა 12-10). ეკლესიის ავტორიტეტები, მათ შორის წმინდა კირილე იერუსალიმელი ამბობს: *„სულიწმინდას აქვს სხვადასხვა სახელი. იმისთვის, რომ ვინმე უცოდინარმა არ დაუშვას მრავალი და სხვადასხვა სულის არსებობა, ეკლესია რწმენის სიმბოლოში ანუ მრწამსში მიუთითებს, რომ არის ერთი, წმინდა სამების მესამე პირი: „რომელი მამისაგან გამოვალს... რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ“.*

ავტორისეული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქართველი ერის სულიერი გენოციდის მიზეზი მისი განმხოლოებაა ორასწლოვანი იმპერიული ძალების მიერ „ინფორმაციულ ველთან“, ანუ სულიწმინდასთან. ამ კუთხით თუ შევხედავთ, „სამყაროული მოძრაობის“ მეცნიერულ-თეოლოგიური სწავლება ერის სულიერი გენოციდიდან თავის დაღწევის ფუნდამენტური თეორიული ნაშრომია. ავტორის აზრით, აპოკალიფსური მოვლენის შემთხვევაში, ადამიანური შესაძლებლობები უძლურია, გადაარჩინოს კაცობრიობა გარდუვალ დაღუპვას. მხოლოდ დიად შემოქმედს – სამება-სულიწმინდას (ფუსტს) ძალუძს გადაარჩინოს კაცთა მოდგმა, რაც ერთხელ უკვე მოხდა ორიათასი წლის წინ, უფალ იესოს განკაცებით და ჯვარცმით.

სამება-სულიწმინდის (ფუსტის) სამყაროში ღრმად წვდომა, ავტორს საბუნებისმეტყველო სამყაროს თითქმის ყველა დარგში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენების საფუძველს უქმნის.

თანამედროვე ქართული საღვთისმეტყველო მეცნიერულ-ფილოსოფიური ნაშრომი „სამყაროული მოძრაობა“, ნაციონალურის გარდა, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ იგი ხსნის იმ პრობლემების არსს, რომელიც საერთოდ დგას კაცობრიობის წინაშე. დასავლური სტილი ცხოვრებისა, ყოველთვის წინ აყენებდა მატერიალურ ყოფიერებას. აღმოსავლური კი პირიქით, უპირატესობას აძლევდა სულიერ ყოფიერებას. მათ შორის სხვაობათა შედეგი განაპირობებს საყოველთაო დაძაბულობას როგორც გარემომცველ სამყაროსთან, ასევე საზოგადოებრივ ყოფიერებაში.

აკაკი გასვიანის აღმოჩენები, ეფუძნება რა ტრადიციულ ქართულ საღვთისმეტყველო აკადემიურ სამონასტრო-მეცნიერულ სწავლებას, ანვითარებს და ასაბუთებს სულიერ და მატერიალურ სამყაროთა შორის არსებულ ურთიერთფუნქციონალურ დამოკიდებულებას, როგორც სამყაროს არსებობის ჰარმონიულ და უანტაგონისტო, აპოკალიფსის გამომრიცხავ თვისებებს. აღნიშნულ დებულებას ავტორი კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებს, სხვადასხვა საბუნებისმეტყველო პროცესებზე დაკვირვებით. ეს ნაშრომი უნდა განვიხილოთ, როგორც თანამედროვეობის უდიდესი საღვთისმეტყველო ინტელექტუალური მიღწევა, რომელიც არა თუ ძირფესვიანად ანგრევს სარწმუნოების და მეცნიერების შეურიგებლობის ყალბ იდეოლოგიას, პირიქით, კაცობრიობის აზროვნების ისეთი ფუნდამენტალური სუბსტანციაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სამყაროში მიმდინარე ნებისმიერი მოვლენის ობიექტური და ჭეშმარიტი შემეცნება. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ნაშრომში მოყვანილი დებულებები უნდა ისწავლებოდეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც თანამედროვე პროგრესული სასწავლო-მეცნიერული აღმოჩენა. ეს თეოლოგიური აღმოჩენა იგივე რანგისაა სულიერი აზროვნების სფეროში, რაც აინშტაინის ფარდობითობის თეორია საბუნებისმეტყველო აზროვნების სფეროში.

აკაკი გასვიანის წიგნით „სამყაროული მოძრაობა“ ქართველი ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდიდან თავის დაღწევას დაედო საფუძველი.

მამა ავთანდილ გიორგოგიანი

სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიის რაჭის ორგანიზაციის თავმჯდომარე

მოსწავლე მკვლევარი

ეს გოგონები საერო საშუალო სკოლის „სადუნის“ მოსწავლეები არიან (პედაგოგი – ძალგატონი მანანა ხორავა; გენერალური დირექტორი – ძალგატონი მარინა ცინცაძე). წარმოდგენილი ესეები, ვფიქრობთ, მათ თანატოლებს დააინტერესებს... და არა მარტო მათ... მკითხველებს მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ ეს ტექსტები მაშინ დაიწერა, როცა მოსწავლეები ქართული ენისა და ლიტერატურის მე-12 კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ბელ კაუფმანის მოთხრობას „წერილი ჩემს განსვენებულ მასწავლებელს“ გაეცნენ.

მასწავლებელი და რეალობა

რა შეიძლება ითქვას ან დაიწეროს დღეს იმ ადამიანებზე, რომელთა გარჯა, ნებისყოფა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნერვებიც კი ჩვენს აღზრდას ეწირება, რომელთა ხელფასი საოცრად დაბალია და ამ ხელფასის 25%-ც სახელმწიფოს მიაქვს.

განვითარებულ ქვეყნებს ვედრებით სწავლის სისტემით და სასკოლო ინვენტარით და ის ადამიანები კი გვავიწყდება, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ სახელმწიფოსგან დაფასებულნი. ცხადია, მიხვდით, რომ პედაგოგებს ვგულისხმობ. მე მიმაჩნია, რომ მათ შრომას უგულებელყოფენ და არაფრად აგდებენ. სასაცილოა, ედრებოდე განვითარებულ ქვეყნებს მხოლოდ ავეჯითა და სასკოლო ინტერიერით და გავიწყდებოდეს მთავარი – არ გახსოვდეს, როგორ აფასებენ იქ, განვითარებულ ქვეყნებში კარგ პედაგოგებს...

ჩემს ერთ-ერთ უსაყვარლეს მასწავლებელზე მინდა გესაუბროთ. ჩემთვის ის მხოლოდ მასწავლებელი როდია, მეგობარიცაა, უზომოდ განათლებული, უჭკვიანესი და უკეთილესი ადამიანი, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში მზად არის, დაგეხმაროს და რჩევა მოგცეს. არ მეგულება თემა, რომელზეც საუბარი მას არ შეეძლოს. სამწუხაროდ, ის, როგორც პედაგოგი, დაუფასებელია. დარწმუნებული ვარ, მას რომ ზემოთ ნახსენებ ქვეყნებიდან ერთ-ერთში ემუშავა, ბავშვების გარდა, კიდევ მრავალნი მიაქცევდნენ ყურადღებას მის პედაგოგიურ და პიროვნულ თვისებებს, და აუღიარებელი ნამდვილად არ დარჩებოდა...

არასდროს დამავიწყდება იგი. ეს სათნო ქალბატონი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. მე ვიცი, რომ ეს მისთვის სრულიად საკმარისია. მისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფინანსური სარგებელი და მე სწორედ ამიტომ მიყვარს იგი, მე ვიცი, რომ მას ყველაფერს ჩვენი სიყვარული და პატივისცემა ურჩევნია...

სამარცხვინოა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ისეთი პედაგოგებიც არსებობენ, რომლებიც დამსახურების და შესაძლებლობების მიხედვით კი არ აფასებენ მოსწავლეებს, არამედ იმით, ვინ უფრო ძვირადღირებული სუნამო ან ტკბილეული მიართვა. ვფიქრობ, მათ ფონზე პატიოსანი მასწავლებლები კიდევ უფრო უნდა ამაღლდნენ ჩვენს თვალში და ორმაგად უნდა ვცეთ პატივი.

პირადად მე, რაც უფრო ვუახლოვდები ჩემს მასწავლებლებს, უფრო და უფრო მაოცებენ თავიანთი ინტელექტითა და ჩვენდამი დამოკიდებულებით. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ რამდენიმე მათგანით აღფრთოვანებული ვარ. მერწმუნეთ, ეს ყალბი სიტყვები არ არის. მე ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ასეთი მასწავლებლები მყავს: პროფესიონალები, თავიანთი საგნის (და არა მხოლოდ საგნის) უბადლო მცოდნენი და, რაც ჩემთვის უმთავრესია, ყველა თუ არა მათი უმეტესობა ჩვენს მიმართ იმდენად თბილადაა განწყობილი, რომ ზოგჯერ მავიწყდება კიდეც ჩვენს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა. მათი დამსახურებაა, დღეს რაიმე თუ ვიცი და მათი „ბრალი“ იქნება, მომავალშიც, რაიმეს თუ მივაღწევ. არასდროს დამავიწყდებიან ისინი და ცხოვრების ბოლომდე მათი მადლიერი ვიქნები.

სამწუხაროა, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლებზე მეტად ბანკში მომუშავე რიგითი თანამშრომელი უფრო აინტერესებთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ სულ უფრო ნაკლებ ადამიანს უჩნდება მომავალ პროფესიად პედაგოგობის არჩევის სურვილი.

დაბოლოს, ვისურვებდი ჩემს ქვეყანაში აღარ იყოს ისეთი ვითარება, როგორიც დღესაა. კი, კარგია ახალი ინვენტარი, მაგრამ უსულო საგნებისათვის პრივილეგიების მინიჭებას სჯობს მასწავლებლებს მიაქციონ მეტი ყურადღება და სხვა ქვეყნებს იმით კი არ მიბაძონ, მათსავით ძვირადღირებულ სკამებზე დავსხდებით თუ არა, არამედ იმით, თუ როგორ აფასებენ და ეპყრობიან იქ მასწავლებლებს.

ფიქრია ფიჩხაძე

წერილი ჩემს მასწავლებელს

ალბათ ასწავლეს, რაც უფრო მეტ უცნაურ სიტყვას იტყვი, უფრო ჭკვიანი ეგონები ადამიანებსო. ნამდვილად ასე იქნებოდა, თორემ რატომ უნდა ილაპარაკო თხუთმეტი წუთი გაუგებარი სიტყვებით, როცა არავინ გისმენს... ჩემს უკან გაცეცხლებულები ბჭობენ მეხუთე კლასის დამრიგებელზე, ხელმარჯვნივ – ვის რამდენი ხელფასი აქვს და რა უსამართლოდ ექცევიან კარგ მასწავლებლებს. წინ მდგომი ქალი ხელებს შლის და ხმას უწევს. იმედი აქვს, საერთო ყაყანს გადაფარავს... როცა კივილისგან სახე აუწითლდა და საბოლოოდ მიხვდა, რომ ვერაფერს გახდებოდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ყავის სმა განაგრძო... იდეაში აქ მასწავლებელთა კრება უნდა ჩატარებულიყო, სადაც ყველა ხმამაღლა გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას. დირექტორი არ მოვიდა. გამოსავალიც მალე იპოვეს „ალბათ დაავიწყდა“... მეც ყველას დავავიწყდი იქ ყოფნისთვის რომ გამიმეტეს. კლასში ყველა საერთო თემაზე ბჭობდა. რა თქმა უნდა, სკოლას არ ეხებოდა – ერთ-ერთი მასწავლებლის უიღბლო ცხოვრებაზე. აქეთ-იქიდან – სხვების დასანახავად ყველამ ცრემლები გადმოღვარა, მაგრამ იმდენად ყალბი იყო მათი ეს მოსაჩვენებელი ტირილი, მთელ ტანში უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. იქ ყოფნა ნელ-ნელა აუტანელი ხდებოდა, აუცილებლად გამოვიდოდი კლასიდან, თქვენ რომ არ შემოსულიყავით... კარი ფართოდ შემოაღეთ და ღიმილით მოიბოდიშეთ დაგვიანებისათვის. ყველა გაჩუმდა და უსიამოვნება დაეტყოთ. თითქოს ახალი შეჯიბრი წამოიწყეს იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყო საუკეთესო. ერთადერთი, ვისაც თქვენი იქ მისვლა გაუახრდა – მე ვიყავი.. ყოველთვის მამშვიდებდა თქვენი გამოჩენა და თქვენც ყოველთვის მაშინ ჩნდებოდით, როცა ჩემთვის ყველაფერი აუტანელი ხდებოდა. რაღაც განსაკუთრებული იყო თქვენს ღიმილში, ნაზი და სევდიანი. აღწერა მიჭირს, გახსენება მსიამოვნებს. დიდი, შავი, წაგრძელებული და თბილი თვალები გქონდათ. პირველივე სკამზე ჩამოჯექით და იმ მასწავლებლების კრებად მონათლულ ჭორის ბუდეს შეუერთდით. მხოლოდ სხეულით, ფიქრებით ყოველთვის სადღაც სხვაგან იყავით. თვალი მუდამ ცაზე გიშტერდებოდათ და ნაზად, ძლივსშესამჩნევად იღიმოდით.

არ ვიცი, დღეს აქ თუ ახსოვთ თქვენი ღიმილი ან ის დღეები, როცა ჩვენ, მოსწავლეებს გვერდით გვედექით. იქნებ სწორედ ამიტომაც დატოვეთ სკოლა. მეშინია ვიკითხო და მიპასუხონ, რომ არავის ახსოვს თქვენი ხმა და არსებობა. მე ხომ არასდროს დამავიწყდება. ყველაზე მეტად, ალბათ ის დღეა დაუვიწყარი, როდესაც საკუთარი თავის რწმენა მასწავლეთ, ბოლომდე ძლიერად დგომა, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს დასასრული... ყოველთვის, როცა უსამართლობა ზეიმს იწყებს და აუტანელი ხდება ყოფნა, ვცდილობ თქვენი ღიმილი გავიხსენო, როგორც ყველაზე წმინდა მაგალითი სიყვარულის და სამართლიანობის, რაც აქამდე ამ უაზრობაში აღმოვაჩინე...

მარიამ გოგიშვილი

გამოფენა

12 იანვარს, **არსის გალერეაში**, გაიხსნა ბავშვთა ნახატების გამოფენა **„ჩვენ ვაშენებთ მშვიდობას“**. ორგანიზატორები იყვნენ **ბრიტანეთის საბჭოს პროექტი „ვიცხოვროთ ერთად“** და მასში გაერთიანებული ახალგაზრდების ჯგუფი (**LoFT – Leap of Faith Together**). პროექტი მიზნად ისახავდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა მხარდაჭერას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქვემო ნიქოზის სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატები. აქვე იხილავდით თბილისში მყოფი დევნილი ბავშვების ნამუშევრებს, შესრულებულს LoFT-ის ჯგუფის საქველმოქმედო აქციაზე **„ჩვენ ვხატავთ მშვიდობას“**. გალერეაში, ასევე, გამოიფინა თბილისის საჯარო სკოლების, საბავშვო სამხატვრო გალერეების და კერძო სახელოსნოების ბავშვების ნახატები.

- საგამოფენოდ ნამუშევრები სამ სხვადასხვა თემაზე შესრულდა:
- ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში;
- რა არის მშვიდობა;
- საქართველო და ევროპა.

ნამუშევრები უფროსი თაობის წარმომადგენლებმა დაასათაურეს ისე, როგორც მათ აღიქვეს ეს ნახატები.

ბრიტანეთის საბჭო მადლობას უხდის კომპანია „არსს“ მხარდაჭერისთვის.

მამები დიდი შვილებისა

ტკბილმოუბარი, კეთილი და ქველის მოქმედი

როდესაც **მიხეილ ყაზბეგს** ვაჟი – ალექსანდრე შეეძინა, ამ ამბით გახარებულმა მამამ სპარსანგელოზის ხატს ირემი შესწირა.

ბედნიერი იყო ხევის მმართველი, განგებამ შვილი და თანაც ძე უბოძა. ერთიანად გახალისდა თურმე, ასეთი მიხეილი მანამდე არავის ენახა. ცნობილი მწერალი ქალი ნინო ორბელიანი წერს: *„როცა ეგ დაებადა კეკესო, ასე ეძახდნენ სანდროს დედას, დედამ გვიამბო, მიხეილ ყაზბეგი სწორედ ოცი წლის ვაჟკაცს დაემსგავსა სიხარულითო. ასეთი აღტაცებული არის, ეს სურვილი რომ აუსრულა ღმერთმაო“.*

გარეგნულად მიხეილ ყაზბეგი მართლაც გამორჩეული ვაჟკაცი ყოფილა, ხოლო მისი ოჯახი ხევში არა მარტო ერთგვარ სამთავრო სახლს, არამედ სულიერების კერასაც წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ პერიოდზე, როდესაც მან პირველად იქორწინა საგინაშვილის ქალზე და მასთან ხშირად დაიარებოდნენ გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. სოფიო თარხნიშვილი იგონებს: *„მიხეილ ყაზბეგი ძალიან ლამაზი, თვალტანადი ყმაწვილი კაცი იყო. პირველად შეირთო საგინაშვილის ქალი, რომელიც ძალიან ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი ქალი იყო და იმ დროისათვის ნასწავლიც. მისი დეიდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაფხულობით მასთან სცხოვრობდა და ბევრი თავისი ლექსებიც ყაზბეგში დასწერა. აგრეთვე მისი ნათესავი იყო გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ყაზბეგში და ბევრი ლექსებიც დაიწერა იქ“* (მნათობი, 1927, №8-9, გვ. 257).

ამ ურთიერთობების სულისჩამდგმელი იყო თავისი კუთხის უდიდესი პატრიოტი და ქომაგი მიხეილ ყაზბეგი, რომელმაც რუსეთის მთავრობასთანაც გამონახა საერთო ენა, გენერლის ჩინი მიიღო და ორდენებითაც დაიმშვენა მუნდირი. ასე რომ, მომავალი მწერალი მართლაც ბატონიშვილივით იზრდებოდა და მამის სახელი მისთვის ერთგვარად გზის გამკვლევადაც იქცა. ჯემალ აფციაური წერს: *„მწერლის მამამ მიხეილმაც „ღენერლობა იშოვა“. „მთის ნაჩალნიკი“ ხან ქვეშეთს იყო, ხან სტეფანწმინდას. მისი სიტყვაც შორს სწვდებოდა. ქონება ხომ იმდენი ჰქონდა ათი ზღაპარი ვერ დაიტევდა... გენერლის ფორმა უხდებოდა, დიდი ხელმწიფის მიერ ნაბოძვარი წმინდა ანას ორდენით გაპატიოსნებული მბრძანებლის მძიმე ნაბიჯით დადიოდა ხევში და ქვეშევრდომებს მათრახივით მოკლე ბრძანებებს ურიგებდა. იგონებენ მის საოცრად ცისფერ თვალებს, ცისკრის ვარსკვლავივით მოციმციმეს, რაიც მის ისედაც ლამაზ სახეს ასე უხდებოდა... ეს თვალები ბუნებამ არც სანდრო ყაზბეგს გამოსწირა – ოღონდ მღელვარე სულის უხილავი ცეცხლით აუნთო დიდ მწერალს და ასე დარჩა მრავალრიცხოვან მოგონებებში – „სანდროს ჟუჟუნა თვალები“* (ჯ. აფციაური, ხევის დიდი შვილი, თბილისი, 1993, გვ. 6).

კარგი ცხენოსანი ყოფილა მიხეილი და, როგორც ტრადიციების დამცველი კაცი, სტუმარ-მასპინძლობის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. დ. კარიჭაშვილი გადმოგვცემს: *„მეტად მდიდრულად იყო თურმე მოწყობილი მიხეილ ყაზბეგის სახლი. იქ კაცი ნახავდა ბევრ ფრიად ძვირფას ხელოვნურ ნივთებს. ბევრი ამ ნივთთაგანი წარმოადგენდნენ მარულაში აღებულ პრიზებს, რადგან ყოველ წელიწადს ყაზბეგს გაჰყავდა ცხენები მარულაზე თბილისში და მუდამ ღებულობდა პრიზებს. ამისთანა მდიდრული სახლი მუდამ სავსე იყო სტუმრებით, რომელთაც გულუხვად ხვდებოდნენ მასპინძლები“* (გ. ნატროშვილი, ალ. ყაზბეგი, თბილისი, 1949, გვ. 31).

მიხეილს, ფაქტობრივად, ყველაფერი ჰქონდა, ახლა მას მხოლოდ გვარის გამგრძელებელი, ოჯახის მომავალი სჭირდებოდა და როცა განგებამ ესეც აუსრულა, *თურმე „მუნდირში აღარ ეტეოდა – ენაცვალოს მამა ჩემს სანდროს, ისეთი უნდა გამომივიდეს, ისეთი, რომ საქართველოში სათქმელი იყოს“* – იტყოდა და აიგრეხდა ხოლმე იმ *„აფიცრულ ულვაშებს“*. მართლაც, ელისაბედ ყაზბეგიც შენიშნავს: *„ბიძაჩემს გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილი და ამას მხოლოდ იმითი ამტკიცებდა, რომ ანებივრებდა... თავის ერთადერთ მემკვიდრეს თითქმის აღმერთებდა! რაღა თქმა უნდა, რომ თავის საყვარელ სანდროსთვის ყოველი კეთილი სურდა და ემეტებოდა“* („მნათობი“, 1929, №7-8, გვ. 312).

მიხეილის პიროვნებაში თითქოს ერთმანეთს შერწყმოდა ერთგვარი სიამაყეც და სიკეთეც. ის კარგად იცნობდა ხევის ცხოვრებას, ხალხს და მისი ინტერესების დამცველადაც გამოდიოდა. *„მიხეილი ბატონი იყო და ბატონობდა... თერგი რომ თერგია, ისიც კი ლამის უხმაუროდ ჩაივლიდა ხოლმე ბატონის სახლთან, მაგრამ მიხეილს გული უცემდა ღენერლის მუნდირის ქვეშ და წყალობაც კარგი იცოდა... მიხეილი მოხევე მაინც იყო, მყინვარის შვილი, ამ გოროზი მთებიდან ორბივით აფრენილი, სხვაზე მეტს ხალხისას ის გაიგებდა – ესმოდა მთის კალთაზე თბილი თოვლივით შეფენილი ფარის ყადრი და სილამაზე, იცოდა, რა სატკივარი ღრნიდა მოხევის სულს. ისიც ხევის სპარსანგელოზის ყმა იყო და ხმალიც ისეთი ერტყა, ღვთის მადლმა, ქარქაშში არასოდეს ჩაეძინებოდა“* (ჯ. აფციაური, დასახ. წიგნი, გვ. 7).

პირველი უიღბლო ქორწინების შემდეგ, მიხეილმა ცოლად თარხან-მოურავის, ასევე დაქვრივებული ქალი, ელისაბედი შეირთო, რომელმაც მას სანდრო აჩუქა. ელისაბედი აღმერთებდა სახელოვან მეუღლეს. ეს კარგად ჩანს მის ლექსებშიც, მიხეილს რომ ეძღვნება:

ლომისა მსგავსი,
მშვენიერი მეუღლე ჩემი
ტკბილ მოუბარი,
კეთილი და ქველის მოქმედი.

ამ ორ სტრიქონში მართლაც შთამბეჭდავად არის დახატული მიხეილის სახე, მისი რაინდული ბუნება და შინაგანი კეთილშობილება.

„არც მიხეილი ყოფილა უბრად პოეზიასთან, ფრიად ჰყვარებია ხალხში გაგონილი, შევარდენივით წამოფრენილი ლექსი, პირმოკუმული გამოცანა, თამამი შაირი და წკეპლასავით მოქნეული სხარტულები“ (იქვე, გვ.12).

მიხეილმა ერთადერთი შვილის გაზრდა ისე დაიწყო, უფლისწულს რომ ეკადრებოდა. უცხოელი გუვერნიორები და შინამოსამსახურეები, ათასგვარი გასართობი და განსაკუთრებული მიფერება – ასე გაიარა სანდროს ბავშვობამ. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და 1866 წლის 20 თიბათვეს მიხეილის არყოფნის ზარმაც ჩამოკრა. დამწუხრდა ხევი, ბატონის სიკვდილი ცის ჩამოქცევას შეადარეს და ატირდა დიდი და პატარა, ძაძით შეიმოსა ელისაბედი, გული აუდუღდა სანდროს და ხევის ტრადიციისამებრ დაიტირა მამა. მოვუსმინოთ ჯემალ აფციაურს: *„მთა გლოვობდა ხევის ბატონს. დიდის პატივით ამოასვენეს სტეფანწმინდას პატიოსანი გვამი. ყაბარდო-ჩერქეზეთში კაცები დაგ ზავნეს...*

მთაში დატირება ერთი გაბმული ზათქი და ზუზუნი იყო, მაგრამ მთელ ამ ოდისეას ისეთი თმისამშლელი და შემაძრწუნებელი ჩვეულება ახლდა, ადამიანი ძნელად თუ წარმოიდგენდა. ეს შორიდან მოსული ადათი კარგა ხანს ცოცხლობდა ხევშიც...

შემოდის მკერდჩახსნილი, თმაწვერაშლილი მამაკაცი. სახეარეულსა და წარბშეჭმუხვნილს ხელში ფოჩიანი მაგრადდაწნული მათრახი უჭირავს, რომელსაც ყოველ შემოვლაზე გამეტებით იცემს კისერზე, სანამ სისხლი არ იფეთქებს...

– სანდრო მოდის, მიხეილის შვილი, მათრახით მოდის – დაირხა ხალხში ხმა და გლოვის ზარმა უფრო გაბმით ჩამორეკა...

ფეხარეული ალექსანდრე ნელა გაივლის ხალხის დერეფანში. მწუხარებით ჩამოგრძელებულ სახეზე იდუმალი შუქი რამ ადგას. ცრემლით დალორთხილი გულისპირი, გაჩეჩილი თმები სევდას მატებს მის მშვენიერ ლურჯ თვალებს. ალექსანდრე ცხედარს გარს უვლის და შხუილით წამოსული მათრახი კისერს უკორტნის. წინ ნინო თავპირში ცემით მიუძღვის. ელისაბედი თავგამოდებით რაღაცას ჩასძახის მიხეილს და მშვენიერი თმების ჩანჩქერი კალთაში სცემს.

აღასრულა სანდრომ ხევის ადათი, გარეთ კი გაკვირვებულ ელისაბედს ეუბნება:

– მათრახით ტირილი დიდი მხეცობაა, მაგრამ რა მექნა – იტყოდნენ, მამა არ შეეცოდა, თავი დაზოგა, სამათრახოდ არ გაიმეტაო!“ (ჯ. აფციაური, დასახელებული წიგნი; გვ. 33).

მიხეილ ყაზბეგმა თავის ერთადერთ შვილს ყველაფერი მისცა. აღზრდა, განათლება, სიყვარული, სიმდიდრე, მისთვის უნდოდა ყველაფერი. სანდრო იყო მისი იმედი, მომავალი, გვარისა და ჯიშის გამგრძელებელი. ის იყო ჩინებული მამა, რომელმაც სამარეში ჩაიყოლა შვილის მომავალზე ფიქრი და ოცნება.

მურად მთვარელიძე

მეთოდიკა

ისტორიის შესავალი

პედაგოგებს, რომლებიც X კლასებში პაატა რამიშვილის ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოთი ასწავლიან, ვთავაზობთ დამხმარე მეთოდურ მასალას

ისტორიის სტანდარტი

1. მოსწავლე აანალიზებს და აფასებს ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს;
2. მოსწავლე აანალიზებს პირველად და მეორად წყაროებს;
3. მოსწავლე გეგმავს და ატარებს ისტორიულ კვლევას;
4. მოსწავლე წერს ისტორიულ თემას.

პროგრამის მიზანი:

მოსწავლეს გააცნოს X კლასის სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესძინოს ისტორიული მოვლენის ინტერპრეტაციის, კვლევის უნარი. ასევე მოსწავლემ უნდა დაგეგმოს და დაწეროს ისტორიული თემა.

კურსის ორგანიზება:

ხუთი აკადემიური საათი I სასწავლო ტრიმესტრის განმავლობაში.

სასწავლო მასალიდან გამომდინარე მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები უნდა შეესაბამებოდეს ტიპოლოგიურად იმ დავალებებს, რომელთა შესრულება მოეთხოვება მოსწავლეს: ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენა, ისტორიის დამხმარე დისციპლინების გაცნობა, წელთაღრიცხვის სისტემების გამოყენება, წყაროს ანალიზი, ლოგიკური არგუმენტებით საკუთარი აზრის დასაბუთება და სხვ.

X კლასის პროგრამა

მოიცავს სხვადასხვა ისტორიულ მეცნიერებათა \არქეოლოგია, ეთნოლოგია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია და სხვ.\ საფუძვლებს; სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროებს და მცირე ისტორიოგრაფიულ ექსკურსს.

შეფასება:

მიმდინარე \ყოველ გაკვეთილზე\, შემაჯამებელი ცალკეული თემის დასრულებისას \მცირე თემის წერა\ და ისტორიული თემის დაწერა.

სასწავლო პროგრამის საათობრივი განაწილება: აღნიშნულ კურსს ეთმობა 60 აკადემიური საათი.

თემატური გეგმა:

შესავალი, სასწავლო კურსის გაცნობა. ლექცია, კითხვებზე პასუხი.

§1. რა არის ისტორია. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან წყაროებს და ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს რვეულში. შემაჯამებელი დავალებებიდან III – გამოთქვით თქვენი აზრი... მოსწავლეებმა შეაჯერეს მცირე ჯგუფებში \3 მოსწ.\ და წარუდგინეს კლასს.

§2. ისტორიული წყაროები. მოსწავლეები გამოძახებით აცნობენ კლასს სახელმძღვანელოს მიხედვით შესრულებულ დავალებებს. მოცემული ინფორმაციის საშუალებით კლასში ხდება ისტორიული წყაროების კლასიფიკაცია. საშ. დავ. §3

§3. ნახატებიდან დამწერლობამდე. მოსწავლეებმა გამოთქვეს აზრი, რა მნიშვნელობა აქვს ისტორიისთვის დამწერლობის გამოგონებას, რა და რა ტიპის წერილობითი წყაროები არსებობს, რით გამოირჩევა მათ შორის ეპიგრაფიკა.

§4. პალეოგრაფიულ-ქრონოლოგიური ძიებანი. ლექცია კალენდრის და წელთაღრიცხვის ჩამოყალიბების შესახებ \მთვარის კალენდარი, მზის კალენდარი, რომაული კალენდარი, იულიუსის რეფორმა, ქრისტიანული წელთაღრიცხვის სისტემა\. კითხვები ინფორმაციის გააზრების პროცესში და პასუხები დასმულ შეკითხვებზე. საშ. დავ. §4 სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები.

– სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების გამოკითხვა. მოსწავლეებმა ჩამოაყალიბონ პასუხი კითხვაზე – რა და რა ფაქტორებმა გამოიწვია საერთო წელთაღრიცხვის და კალენდრის ჩამოყალიბება. მოსწავლეების მიერ მოფიქრებული სავარჯიშოები – წელთაღრიცხვის ერთ სისტემაში მოცემული ფაქტების მეორეში გადაყვანა.

§5. არქეოლოგია. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს. გამოძახებით წარუდგენენ კლასს დავალებებს: გვ.19 №1 და №2, დავალება გვ. 20, გვ. 22 №1,№2,№3. საშ. დავ. §6

§6. ნუმიზმატიკა. მოსწავლეები მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფებში \5მოსწ.\ არგუმენტირებულად პასუხობენ კითხვას: რამდენად ფასეულია მონეტა, როგორც ისტორიული წყარო? ჯგუფური ნამუშევრი თეზისებად იწერება დაფაზე, გამოვარჩიოთ რამდენიმე ძირითადი მოსაზრება თავისი დასაბუთებით.

§8. მითოლოგიურ-რიტუალური ტექსტები. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს. საშ. დავ. ვრცელი პასუხი კითხვაზე: რა განსხვავებაა მორალსა და სამართალს შორის?

§8 მოსწავლეები თეზისის სახით აყალიბებენ საკუთარ დავალებას, აცნობენ კლასს, ჩამოყალიბდება რამდენიმე ვერსია. მოსწავლეები დამოუკიდებლად წერენ მოკლე ესეს-რატომ სჭირდება საზოგადოებას მორალი?

§9. გენეალოგია. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს. კლასში შემოწმდა ბაგრატიონთა გენეალოგიური სქემის სისწორე. საშ. დავ. მოსწავლეებმა მოიპოვონ ინფორმაცია VII თაობის წინაპრების შესახებ \სახელები მაინც\.

§9. კლასში ვსაუბრობთ და ვაანალიზებთ რამდენად რთული\ან ადვილი იყო ინფორმაციის მოგროვების პროცესი. რა დასკვნების გაკეთება შეიძლება. რამდენად საჭიროა საკუთარი გენეალოგიის გარკვევა. საშ. დავ. §10

§10. ჰერალდიკა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფები \6მოსწ.\ ჩამოაყალიბებენ ნებისმიერ ორგანიზაციის და შექმნიან მის გერბს.

პრეზენტაციები

პრეზენტაციები საშ. დავ. §12

§12. ისტორიული გეოგრაფია. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები დამოუკიდებლად\წერით\ პასუხობენ კითხვას: რა პროცესების გარკვევის საშუალებას იძლევა ისტორიული გეოგრაფია. პასუხები შეჯერდება ჯგუფებში, წარედგინება კლასს.

§13-14. სახვითი წყაროები. კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტები. მოწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. მობილურით გადაღებული კადრით ცდილობენ რაიმე სიტუაციის აღდგენას. საშ. დავ. მოიძიონ სახვითი ხელოვნების ნიმუში და გააკეთონ მისგან მიღებული ინფორმაციის პრეზენტაცია.

საშ. დავ. პრეზენტაცია – კითხვა კლასს – რამდენად ამომწურავი იყო ინფორმაცია?

შემაჯამებელი სამუშაო. მოსწავლეები დამოუკიდებლად წერენ თემას „ისტორია – მეცნიერთა კვლევის შედეგი თუ ფანტაზია?“

თ.II §1. ისტორიული თხზულება. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. საკ. დავ. „რატომ იქმნება მატიანეები“.

დავ. გაცნობა. ჯგუფებში შეჯერდება და წარედგინება კლასს. ჩამოყალიბდეს ერთი ან ორი ყველასთვის მისაღები აზრი.

§2. აგიოგრაფია. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს. საშ. დავ. რატომ არის აგიოგრაფია სანდო ისტორიული წყარო?

საშ. დავ. შემოწმება-განხილვა-შეფასება.

§3. ისტორიული დოკუმენტები. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს საშ. დავ. სახელ. მოცემული დავ.

საშ. დავ. შემოწმება-განხილვა-შეფასება.

§4. დოკუმენტებით აღდგენილი ისტორია.

§5. მემუარები, დღიურები. \ანა ფრანკის დღიურების გარდა\. ჯგუფებში ნაწილდება დასამუშავებელი მასალა. დავალება – დაახასიათონ აღწერილი პერიოდი. ნამუშევრების პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს კლასში დავალება – დამოუკიდებელი სამუშაოს სახით “რევოლუციური რუსეთი”

იხ. წინა გაკვეთილი.

§6. მემუარული ლიტერატურა. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. დამოუკიდებლად წერენ კლასში დავალებას – ჩემი IX კლასი. ვცადოთ საერთო სურათის აღდგენა. ჩამოვაყალიბოთ დამოკიდებულება სუბიექტური განცდები არის თუ არა ისტორია \პიროვნება და ისტორია\

§7. პერიოდიკა. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს, საკლასო დავალება – დაწერონ საგაზეთო სტატია ნებისმიერ აქტუალურ თემაზე, ვნახოთ ვის მოუსმენენ.

§8. ლეო აფრიკელი. შეფასება – შემაჯამებელი

თ.III §1. პირველადი და მეორადი ისტორიული წყაროები. §2. წერილობით წყაროებზე მუშაობისას, დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. საშ. დავ. §3

საშ. დავ. შემოწმება. §4. აგიოგრაფია და ისტორიული თხზულება. §5. წყაროები ერთმანეთს ავსებენ. დამოუკიდებლად ეცნობინ ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. საკ. დავ. როდის იქმნება სრული სურათი როცა წყაროები ერთმანეთს ავსებენ თუ როცა ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“.

იხ. წინა გაკვ.

§6 დავით აღმაშენებლის პორტრეტი. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, დამატ. „გალობანი სინანულისანი“-ის მონაკვეთი კომენტარით, ასრულებენ დავალებებს. საშ. დავ. მეფე-პიროვნება და პოლიტიკოსი.

§7. ჯვაროსანთა ლაშქრობა. ლექცია – ჯვაროსანთა ლაშქრობები. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. საშ. დავ. §8

დავ. შემოწმება-შეფასება. საკ. დავ. შეაფასეთ I ჯვაროსნული ლაშქრობების მნიშვნელობა მისი თანამედროვე მსოფლიოსთვის. შეჯერდეს და ჩამოყალიბდეს საერთო აზრი. საშ. დავ. §9

საშ. დავ. შემოწმება-შეფასება. §10. კონსტანტინეპოლის დაცემა. ტექსტი დამოუკიდებლად. დავ. სცადე დაასახელო შენთვის ცნობილი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენები.

§11, §12, §13 მოსწავლეები ტექსტს ეცნობიან დამოუკიდებლად, ასრულებენ დავალებებს, წერ. დავ. „ალ. მაკედონელის პიროვნების მნიშვნელობა ისტორიისთვის“.

იხ. წინა გაკ.

დავ. განხილვა-შეფასება.

საკ. დავ. „შეაფასეთ ალექსანდრე მაკედონელის საქმიანობის შედეგები“.

დავ. განხილვა-შეფასება.

ისტორიული წყარო – აზრთა სხვადასხვაობის წყარო.

§15. შემაჯამებელი გაკვეთილი. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. დამოუკიდებლად წერენ თემას „ქართლ-კახეთის სამეფო XVII ს. დას.“ მოსწავლეები კითხულობენ თემას გაგრძელებით. \ვნახოთ რა გამოვა\

იხ. წინა გაკვ.

თ.IV §1 და §2 მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. საკ. დავ. „ისტორია – მეცნიერთა კვლევის შედეგი.“

§3 შუა საუკუნეებიდან ახალ დრომდე. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. საკ. დავ. „რაზეა დამოკიდებული ისტორიული აზრის განვითარება“

§4. ახალ დროში. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ასრულებენ დავალებებს. განხილვა დავალებისა „რა გზა გაიარა ისტორიულმა აზრმა“.

კონსულტაცია პრეზენტაციის წინ

შეფასების სისტემის გაცნობა\შეთანხმება

შემდეგი ათი მეცადინეობა დაეთმობა 3-3 თემის პრეზენტაცია\შეფასებას.

სასწავლო პროცესის შეფასება.

საათების განაწილება:

საათების რაოდენობა – 60 აკად. სთ.

შემაჯამებელი სამუშაოებისთვის – 5-6სთ.

3-4 სთ. დაეთმობა საკლასო დებატებს.

11 სთ. რეფერატების პრეზენტაციას.

სარეზერვო საათების განაწილება:

შემაჯამებელი გამოკითხვისთვის განკუთვნილი საათების განაწილება:

ყოველი თემის შესწავლის დასასრულს ჩატარდება შემაჯამებელი სამუშაო.

რესურსები:

სახელმძღვანელო – პაატა რამიშვილი, ისტორიის შესავალი, დამ. ლიტ.დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანი“.

თვალსაჩინოება:

ისტორიული რუკები, ისტორიული პორტრეტები.

ტექნიკური საშუალებები:

სასურველია ტელევიზორი, ვიდეო-მაგნიტოფონი;

ინტერნეტსაიტები.

ადამიანური რესურსები:

მასწავლებელი, მოსწავლეები, ზოგიერთი თემის შესწავლისას მოსწავლეთა ოჯახის უფროსი თაობის წევრები.

კურსის ორგანიზაცია:

ჩასატარებელი გაკვეთილების ტიპი – კომბინირებული;

სწავლების მეთოდი – ინტერაქტიური;

მეცადინეობის ფორმები – ლექცია, სემინარი, პროექტი, დებატი და სხვ.

საკლასო მენეჯმენტის ხერხები – დამოუკიდებელი – 50%, ჯგუფური – 20%, ფრონტალური – 30%.

სწავლების ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასწავლო კურსის შედგენას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. მოსწავლეების მოტივაცია შესაძლებელია მათი ინტელექტუალური უნარების დემონსტრაციით, წარმატების წახალისებით, შეფასებაში თანამონაწილეობის განცდით და სხვ.

სამუშაო დისციპლინა:

საპატიო გაცდენების დასაშვები რაოდენობა – ტრიმესტრში 5 სთ; დავალიანების დასაშვები რაოდენობა – ტრიმესტრში 2 სთ;

მისაღწევი შედეგები

ზოგადი საგნობრივი შედეგი:

ისტორიის, როგორც მეცნიერების საგნის, მისი დამხმარე მეცნიერებების, კვლევის მეთოდების გაცნობა.

სპეციფიური ტერმინების ათვისება და ფლობა, თვალსაჩინოების გაცნობა.

სპეციფიკური საგნობრივი შედეგი: ისტორიული რეფერატის წერა.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შედეგი:

კომუნიკაციის, დიალოგის, ანალიზის, ლოგიკური აზროვნების პრინციპების ჩამოყალიბება.

მოსწავლეთა შეფასება:

შემუშავდება კათედრის წევრებთან შეთანხმებით, გათვალისწინებული იქნება სასწავლო გეგმით შემოთავაზებული პარამეტრები და მოსწავლეთა თვითშეფასების პრინციპებიც.

კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა:

მიმდინარე დავალება – 30%

შემაჯამებელი სამუშაო – 40%

ჩართულობა-აქტივობა – 20%

ორგანიზებულობა – 10%

ჩამოყალიბდა თითოეული კომპონენტის შეფასების 10-ქულიანი სისტემა.

ელისო ჩუგინიშვილი
ისტორიის მასწავლებელი

მეთოდიკა

გაკვეთილი ბიოლოგიაში. IX კლასი

ბიოლოგიის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში დამოუკიდებლად მუშაობის და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად დავალებები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მოსწავლემ თავად შეძლოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და დასკვნების გამოტანა.

IX კლასის პროგრამა ბიოლოგიაში ითვალისწინებს ადამიანის ორგანოთა სისტემების აგებულებისა და ფუნქციების შესწავლას, თუმცა ცალკეული სისტემის განხილვისას, სასურველია, ზოგადად მიმოვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება ესა თუ ის სასიცოცხლო პროცესი სხვადასხვა კლასის წარმომადგენელ ორგანიზმებში, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს, უკეთესად გაიაზროს და აითვისოს შეთავაზებული მასალა, მოახდინოს შედარება და იმსჯელოს გლობალურად.

გთავაზობთ IX კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმას.

გაკვეთილის თემა: საჭმლის მომნელებელი სისტემის დანიშნულება. ადამიანის საჭმლის მომნელებელი ორგანოები.

მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ საჭმლის მონელების დანიშნულების ახსნა; თანმიმდევრობით ჩამოთვალონ საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოები; შეადარონ სხვადასხვა კლასის წარმომადგენელი ორგანიზმების მომნელებელი სისტემები.

გამოყენებული მასალა: ანატომიის ატლასი ან პლაკატი ადამიანის საჭმლის მომნელებელი ორგანოების გამოსახულებით, ნახატები სხვადასხვა ცხოველის (თევზის, ხვლიკის, მტრედის) მომნელებელი სისტემის გამოსახულებით, ფორმატები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური.

გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები: საშინაო დავალების შემოწმება, ახალი მასალის წარდგენა, საშინაო დავალების პირობის განმარტება.

გაკვეთილის დრო: 45 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილს ვიწყებ საშინაო დავალების შემოწმებით. მოსწავლეებს უნდა მოემზადებინათ შემდეგი თემა: *„გლუვი კუნთი, მისი მდებარეობა და ფუნქციები“*, საშინაო დავალებას ვამოწმებ ფრონტალურად, შემდეგი კითხვების საშუალებით:

- როგორი აგებულება აქვს გლუვ კუნთს?
- ადამიანის ორგანიზმში სად გვხვდება გლუვი კუნთები?
- რით განსხვავდება გლუვი კუნთი ჩონჩხის განივზოლიანი კუნთისგან?
- რა ფუნქციას ასრულებს გლუვი კუნთი?
- რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ გლუვი კუნთი, განივზოლიან კუნთთან შედარებით, ნელა იკუმშება?

საშინაო დავალების შემოწმებისას ხდება მოსწავლეთა შეფასება (8 წუთ.).

შემდეგ ვიწყებ ახალი მასალის წარდგენას. კლასს მივმართავ, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ ადამიანის საჭმლის მომნელებელი სისტემის განხილვა და ვთხოვ გაიხსენონ, თუ რა პროცესია და რომელი სასიცოცხლო პროცესის შემდეგ ხორციელდება მონელება (მოსწავლეები პასუხობენ, რომ მონელება არის პროცესი, რის შედეგადაც საკვებით მიღებული რთული ნივთიერებები შედარებით მარტივ ნივთიერებებად იშლება).

დაფაზე ვკიდებ პლაკატს, სადაც ადამიანის საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემაა გამოსახული და ახალი მასალის წარდგენას ვიწყებ. მოსწავლეებს ვეუბნები, რომ ადამიანის საჭმლის მომნელებელი სისტემა შედგება მომნელებელი არხისგან და არხს მიღმა მდებარე ჯირკვლებისგან, რომლებიც სპეციალურ, რთულ ნივთიერებათა დამშლელ ფერმენტებს გამოიმუშავებენ და მომნელებელ არხს სადინარებით უკავშირდებიან. მომნელებელ არხს ქმნიან შემდეგი ორგანოები: პირის ღრუ, საყლაპავი, კუჭი, წვრილი ნაწლავი, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავით იწყება, მსხვილი ნაწლავი, სწორი ნაწლავი და ანალური ხვრელი, რომლის მეშვეობითაც საკვების გადამუშავებული ნარჩენები გარეთ გამოიყოფა (შესაბამისად, ყველა ორგანოს ვაჩვენებ პლაკატზე).

ასევე აღვნიშნავ, რომ გარდა საჭმლის მომნელებელი არხის ორგანოებისა, მონელების პროცესში მონაწილეობენ ჯირკვლები: ღვიძლი, სამი წყვილი სანერწყვე ჯირკვალი და კუჭქვეშა ჯირკვალი (შესაბამისად ვაჩვენებ პლაკატზე, მასწავლებლის საუბარს ეთმობა 5 წუთი).

საუბრის შემდეგ დაფიდან პლაკატს ჩამოვხსნი, მოსწავლეებს დავყოფ ჯგუფებად, დავურიგებ წინასწარ მომზადებულ ნახატებს ადამიანის მომნელებელი სისტემის ორგანოთა გამოსახულებით და ვთხოვ, თითოეულ ორგანოს შესაბამისი წარწერა გაუკეთონ (5 წთ.).

პრეზენტაციები (5 წთ.).

შემდეგ მოსწავლეეს ვეუბნები, რომ კვება და მონელება ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის არის დამახასიათებელი და რომ მონელების პროცესი სხვადასხვა ორგანიზმებში მსგავსია. ვთხოვ გაიხსენონ, როგორ ინელებს საკვებს ამება. შემდეგ ვამბობ, რომ მონელების ორი სახე არსებობს – უჯრედშიგა (როგორც ამებას მაგალითზე ვნახეთ) და უჯრედგარე. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ უჯრედშიგა მონელება უჯრედის შიგნით ხორციელდება და იგი მხოლოდ ერთუჯრედიანი ორგანიზმებისთვის როდია დამახასიათებელი, ხოლო უჯრედგარე მონელება მიმდინარეობს სხვადასხვა მომნელებელი ორგანოს ღრუში (მაგალითად, პირის ღრუში, კუჭში, ნაწლავში), ანდა სულაც ორგანიზმის გარეთ, მაგალითად, ობობა მსხვერპლს შხამთან ერთად მომნელებელ ფერმენტებსაც უშხაპუნებს, რომლებიც მსხვერპლის შიგთავსს ათხიერებენ, ანუ ობობას საკვების მონელება, ნაწილობრივ, ორგანიზმის გარეთ მიმდინარეობს (2 წთ.).

თვალსაჩინოებისთვის დაფაზე დავკიდებ შემდეგ სქემას და ჯგუფებს ვთხოვ, მოიყვანონ შესაბამისი მაგალითები (3 წთ.).



პრეზენტაციები (5 წთ.).

შემდეგ ვაკეთებ განცხადებას, რომ ყველა ხერხემლიან ორგანიზმს აქვს საჭმლის მომნელებელი სისტემა, რომელიც საჭმლის მომნელებელი ორგანოებისგან შედგება და რომ ეს ორგანოები მსგავსი აგებულებისაა და მსგავს ფუნქციებს ასრულებენ, თუმცა არსებობს მცირედი განსხვავებებიც.

ჯგუფებს ვურიგებ ხვლიკის, თევზის და მტრედის მომნელებელი სისტემის გამომსახველ სურათებს და ვთხოვ, შესაბამის ორგანოებს წარწერები გაუკეთონ (3 წთ.) (თითოეულ ჯგუფს სამუშაოდ ერთი სურათი მიეცემა. გარდა ამისა, მოსწავლეებმა, შესაძლოა, ვერ დაასახელონ კლოაკა, ამიტომ სასურველია, ამ ორგანოს წარწერა წინასწარ გავუკეთოთ და გაკვეთილის მსვლელობისას განვმარტოთ).

პრეზენტაციები (5 წთ.).

შეჯამების მიზნით, მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეძლევათ დავალება, თანმიმდევრულად ჩამოწერონ ადამიანის საჭმლის მომნელებელი ორგანოები (2 წთ.) (ამ დროს დაფიდან პლაკატი უნდა ჩამოვხსნათ).

შემდეგ პლაკატს კვლავ დაფაზე დავკიდებ და მოვახდენთ შეცდომების გასწორებას (2 წთ.).

გაკვეთილის დასასრულს, მოსწავლეებს გავაცნობ საშინაო დავალების პირობას.

ნატა ბიჭიკაშვილი
გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა

ინფორმაცია

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ნიკა გვარამია**, მინისტრის პირველი მოადგილე **ანა ჟვანია** და შიდა ქართლის გუბერნატორი **ლადო ვარძელაშვილი** ტირძნისის საჯარო სკოლას ეწვივნენ, შეხვდნენ ტირძნისის სკოლის პედაგოგებს, პრეზიდენტის სტიპენდიანტ 15 პედაგოგს გორის რაიონიდან და იმ 4 ტირძნისელ ქალბატონს, რომელთაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს სკოლა დაწვას გადაარჩინეს.

ბატონმა ნიკა გვარამიამ ქალბატონებს: **მარინა ნებიერიძეს**, **ზაირა ზერეკიძეს**, **ნათელა** და **სვეტლანა გოგინაშვილებს** პრეზიდენტის განკარგულება გააცნო და ღირსების ორდენები გადასცა. მინისტრმა გმირობად შეაფასა ამ ქალბატონების მიერ გამოჩენილი თავდადება, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა მათ და წარმატებები უსურვა. ტირძნისის საჯარო სკოლა ერთხელ უკვე იყო ხანძრისაგან განადგურებული, 2007 წელს, პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, თავიდან აშენდა, რაზეც 3 000 000 ლარამდე დაიხარჯა.

ბატონმა ნიკა გვარამიამ ახალი წლის დადგომა მიულოცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა პრეზიდენტის სტიპენდიანტ 15 პედაგოგს და ქალბატონ ანა ჟვანიასთან ერთად სერტიფიკატები გადასცა.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები ზემო ნიქოზის საჯარო სკოლასაც ეწვივნენ. მინისტრმა ნიქოზელ 200-მდე მოსწავლეს საახალწლო საჩუქრები: მუსიკალური ცენტრი, ნაძვის ხე, სათამაშოები და ტკბილეული ჩაუტანა, მათთან ერთად მორთო ნაძვის ხე და საახალწლო ზეიმს დაესწრო.

ПРОФЕСИОНАЛТА КЛАСИ

გაკვეთილი რომ საინტერესო და სახალისო იყოს

იმ დღეს ადიგენის რაიონის ვარხნის საჯარო სკოლის IX-კლასელები განსაკუთრებით ღელავდნენ – სამოდელო გაკვეთილი უნდა ჩაეტარებინათ ისტორიაში. ისტორიის მასწავლებელთან, **ნონა გუბელაძესთან** ერთად გაკვეთილის თემა ერთსულოვნად შეარჩიეს – ვახტან გორგასლის პირადი საქმე უნდა შეედგინათ. მათ ხომ ვახტანგ გორგასალი, როგორც მეფე და როგორც პიროვნება, ძალიან უყვართ. მოიძიეს უამრავი მასალა – ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები და დოკუმენტები.

გაკვეთილს ესწრებოდნენ: სასკოლო ქსელის პედაგოგები, მოსწავლეები და რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ნონა გუბელაძე აქტიურად მუშაობს საგრანტო პროექტების მომზადებაზე. სკოლას 3000 დოლარის და 3000 ლარის ღირებულების ორი გრანტი მოუპოვა, რაც სკოლის თანამდეროვე ტექნიკით აღჭურვას მოხმარდა.

მასწავლებლად დაბადებულიაო – ამბობენ მასზე. სკოლამ, მთელმა სოფელმა შეიყვარა მშვენიერი სულის, განსწავლული პედაგოგი, რომელსაც შრომისმოყვარეობა და შინაგანი დისციპლინა შეხამებული აქვს იშვიათ პრინციპულობასთან, პუნქტუალობასა და მომთხოვნელობასთან.

მოსწავლეებს ხიბლავს პედაგოგიური ტაქტით გამორჩეული, პროფესიულად ჩატარებული ხალისიანი გაკვეთილებით. იგი სკოლით სუნთქავს და ცხოვრობს. სკოლაა მისი სამყარო, ბავშვები ალამაზებენ მის სიცოცხლეს. ყოველგვარი ამბიციისაგან თავისუფალი, სანიმუშო კოლეგიალობით გამოირჩევა. სიკეთესა და სიყვარულს ასხივებს მისი თბილი, მეგობრული ღიმილი, არასოდეს წუწუნებს, არაფერს ამბობს თავის პრობლემებზე, სატკივარზე, სხვის გასამხნევებლად და თანაგრძნობისათვის კი მუდამ ჰყოფნის დროც და ძალაც.

ნონა გუბელაძეს არაერთი საინტერესო გაკვეთილი ჩაუტარებია. სამოდელო გაკვეთილმა სტუმრების მოწონება დაიმსახურა. ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ როგორც მოსწავლეებს, ასევე სტუმრებს.

ნინო პეტრიაშვილი

ვარხნის საჯარო სკოლის პედაგოგი

იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიის გაკვეთილები მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო იყოს, საჭიროა მათი აქტიური ჩართვა არა მარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ თვით გაკვეთილის დაგეგმვაში. მოსწავლეებმა თავად უნდა ეძიონ და მოიპოვონ ინფორმაცია ქართველი მეფეების შესახებ. ამით უფრო მეტად გაუღვივდებათ საგნისადმი ინტერესი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ეჩვევიან კვლევას, პრობლემის გადაჭრას, პიროვნების დახასიათებასა და პიროვნებათა შედარებას; იძენენ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს და სწავლობენ თანამშრომლობას.

გთავაზობთ მოსწავლეებთან ერთად დაგეგმილი ერთ-ერთი გაკვეთილის სცენარს IX კლასში.

ნინო გუბელაძე

ადიგენის რაიონის ვარხნის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

საგანი – საქართველოს ისტორია.

კლასი – IX.

თემა – ვახტანგ გორგასლის პირადი საქმის შედგენა.

მუშაობის ფორმა – ინდივიდუალური, ჯგუფური.

გამოსაყენებელი რესურსი – დაფა, ცარცი, რუკა, კომპიუტერი.

დამატებითი რესურსი: მოსწავლეთა მიერ შესრულებული ვახტანგ გორგასლის პორტრეტი.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ:

1. V საუკუნის II ნახევრის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის მაგალითზე;
2. სახელმწიფოს მმართველობით სტრუქტურებში განხორციელებული სამხედრო და საეკლესიო რეფორმები;
3. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სტრუქტურა;
4. ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს აგებული ხუროთმოძღვრული ძეგლები;
5. V საუკუნის II ნახევრის კულტურული მიღწევები. ამავე დროს, ისინი სწავლობენ ისტორიული თემის წერას ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის მაგალითზე.

უნარ-ჩვევა: ინფორმაციის მოპოვების და ორგანიზების, კვლევის, პრობლემის გადაჭრის, რუკის გამოყენების, პიროვნების დახასიათებისა და პიროვნებათა შედარების, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნებისა და თანამშრომლობის უნარი.

გაკვეთილი იწყება მოთელვით, მასწავლებელი საუბრობს ქართველთა სტუმართმოყვარეობის ტრადიციაზე. იგი მოსწავლეების მოტივაციას ამაღლებს იმით, რომ სთხოვს, სტუმრებს გაუმასპინძლდნენ კარგი გაკვეთილით (კლასში გაკრულია პლაკატი „სტუმარი ღვთისაა“). ბავშვებს ეძლევა დავალება – რას ინატრებდით, ნატვრისთვალი რომ გქონდეთ. თითოეული მოსწავლე ამბობს ერთ ნატვრას.

შემდეგ იწყება საშინაო დავალების პრეზენტაცია. მოსწავლეებს, სხვადასხვა ისტორიული ნაშრომის გამოყენებით, უნდა დაეწერათ ისტორიული თემა, რომელიც გულისხმობდა „ვახტანგ გორგასლის პირადი საქმის შედგენას“. გაკვეთილი წინასწარ იგეგმება მოსწავლეებთან ერთად, ისინი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას, პირობითად, რვა ეტაპად ჰყოფენ და თითოეულ ეტაპს ასათაურებენ:

1. სიჭაბუკე და გამეფება;
2. ძნელბედობა (საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა);
3. „მგლისთავა“ (იგულისხმება მის მიერ გადახდილი ომები);
4. „დიდი მეოხი“ (საეკლესიო რეფორმა);
5. „აღმშენებელი“;
6. „თბილისის მესაძირკვლე“;
7. „ულმობელი სიკვდილი“;
8. „მასზედ თქმული“;
9. შემაჯამებელი პრეზენტაცია.

მასწავლებელი ამ სათაურებს ყუთში ათავსებს. მოსწავლეები, ლატარიის წესით, მიღებული სათაურის ირგვლივ აკეთებენ ზეპირ პრეზენტაციას. თითოეული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ავსებენ განსხვავებული წყაროდან მოპოვებული მასალით.

მოსწავლეები სვამენ პარალელურ კითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს იმ შედეგებზე გადაყვანას, რომელიც გათვალისწინებულია მეცხრე კლასში ეროვნული პროგრამით და ემსახურება გაკვეთილზე დასახული მიზნის მიღწევას.

ოთხი თავის პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი კლასს ჰყოფს ორ ჯგუფად. მათ ეძლევათ დავალება – დაარქვან ჯგუფს სახელი და მოახდინონ სახელწოდების პრეზენტაცია. ამის შემდეგ ელით სიურპრიზი. მასწავლებელი, კომპიუტერის გამოყენებით, აჩვენებს ანიმაციური უხმო ფილმის მონაკვეთს ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობიდან. მათ ევალებათ გამოიცნონ მონიტორზე ნანახი ეპიზოდები. ფილმის ნახვის შემდეგ ჯგუფებს მუშაობისთვის ეძლევათ 5 წუთი. პასუხების წარდგენის შემდეგ კვლავ გრძელდება დარჩენილ თავებზე მუშაობა. ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა სრულდება შემაჯამებელი პრეზენტაციით. კომპიუტერის მონიტორზე გამოჩნდება შემაჯამებელი კითხვები:

1. როგორ წარიმართა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა? როგორი ნაბიჯები გადადგა მან ამ უაღრესად რთულ დროს?
2. მის მიერ გატარებული რომელი რეფორმა მიგაჩნიათ უმთავრესად?
3. რა როლი შეასრულა ბედისწერამ ვახტანგის ცხოვრებაში? მიიჩნევთ თუ არა მას ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად?
4. რა ისწავლეთ ვახტანგ მეფისგან? რაში მიბაძავდით მას?

შემდეგ მოსწავლეები ახდენენ მათ მიერ შესრულებული ვახტანგ მეფის პორტრეტის პრეზენტაციას. აქ საუბრობენ იმ ემოციაზე, რაც სურათზე მუშაობისას დაეუფლათ.

მოსწავლეები უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვას – „რა მოგცათ თემაზე მუშაობამ“? ახდენენ კლასის შეფასებას და თვითშეფასებას, კომპონენტების მიხედვით.

მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას: „თავისუფალი წერა“, რომელშიც უნდა აისახოს, რით იყო საინტერესო ეს გაკვეთილი, რით დაამახსოვრდებათ, რა შეძლეს და რა ვერ შეძლეს.

СПОРТИ

არასახარბიელო სათიხნარო ტურნირი

16 წლის ნიჭიერმა ჩოგბურთელმა, **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** შარშანდელი წელინადი აშშ-ში ჩაამთავრა და ახალ წელსაც იქ შეხვდა. შეგახსენებთ, რომ იგი, დეკემბრის მიწურულს, ბისკეინში საკმაოდ დიდი წარმატებით გამოვიდა ახალგაზრდების ყველაზე პოპულარულ ტურნირ „ორანჯ ბოულში“, სადაც 18-წლიანებში იასპარეზა და მეოთხედფინალში გავიდა, ნაახალწლევს კი ბოკა რატონში გადაინაცვლა 10-ათასიან სათიხნარო ტურნირზე. სამწუხაროდ, ჩვენებურის მორიგი ამერიკული ტურნირი წარუმატებელი გამოდგა – საკვალიფიკაციო ეტაპზე ინდოელ **ამოგ პრაბჰაკარის** ორ სეტში ძლევის შემდეგ მასპინძელ **მარკუს ფუგატესთან** სამსეტიანი შეხლა დასრულდა ანგარიშით: 3:6, 7:5, 5:7.

ბოკა რატონში კიდევ ერთმა ჩვენებურმა, „ორანჯ ბოულის“ ერთადერთმა ქართველმა ჩემპიონმა, 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამაც** ითამაშა და – შედარებით უკეთაც, მაგრამ ძირითად ბადეში ვერც ის მოხვდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე კალაშნიკოვამ ორი ბრძოლა მოიგო, მაგრამ, მესამე და გადამწყვეტ ძირითად ბადეში შეხვედრა დათმო ბრაზილიელ ტელიანა პერეირასთან – 0:6, 4:6.

აღსანიშნავია, რომ გოგონათა ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი გახლდათ.

ილბლიანი დებიუტი

საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ 18 წლის მეკარე **გიორგი მაკარიძე** ფრანგულ „ლე მანში“ ჩაირიცხა. ნიჭიერი მეკარე, რომელმაც **კლაუს ტოპმიოლერის** ხელმძღვანელობით ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა 16 წლისამ შოტლანდიასთან ჩაატარა და - მაღალ დონეზეც, ჯერ გერმანულ კლუბებში დამკვიდრებას ლამობდა, მაგრამ საბოლოოდ საფრანგეთის პირველდივიზიონურ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაკარიძე, თავდაპირველად, კლუბის ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებს, თუმცა მისი ტრანსფერი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე საფეხბურთო ქვეყანაში ფრიად წარმატებულია.

ირაკლი თავაძე

მოჭიდავეთა წარმატება

დედოფლისწყაროს რაიონის თავისუფალი სტილის მოჭიდავეები წარმატებით გამოვიდნენ რესპუბლიკურ ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ახლახან გურჯაანში გაიმართა. წონითი კატეგორიების მიხედვით, დედოფლისწყაროელმა ფალავნებმა სძლიეს კახეთის სხვადასხვა რაიონის სპორტსმენებს და საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

23კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი **ნიკა ბიკაშვილმა** დაიკავა. მას არ ჩამორჩა თანაგუნდელი **თედო ბოსტოღანაშვილი** (32კგ.); 35კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი **გელა ქოქიაშვილმა** დაიკავა, ხოლო მეორე – **მამუკა ყეინიშვილმა**; 38 კგ. წონით კატეგორიაში ტურნირის ჩემპიონობა **ირაკლი მენთეშაშვილმა** მოიპოვა, მეორე იყო **რეზო ბოსტოღანაშვილი**. შემდგომ წონით კატეგორიებში ტურნირში გამარჯვებულები არიან: **ტელმან გივიშვილი** (42კგ.), **ვახო ხუნაშვილი** (46 კგ.), **ლევან ოზბეთელაშვილი** (50 კგ.); 54 კგ. წონით კატეგორიაში თავი ისახელეს: **ლაშა ბოდველმა** (I ადგილი) და **თორნიკე დათუკიშვილმა** (II ადგილი). **ზაზა ბოსტოღანაშვილმა** ტურნირის ჩემპიონობა 59 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა. 63 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე **გელა დავითაშვილი** გავიდა, ხოლო მისი თანაგუნდელი **ომარ ლაპიაშვილი** მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

საინტერესო გამოდგა მძიმე წონის მოჭიდავეთა ასპარეზობა. პატარებში, მძიმე წონაში, ყველაზე ძლიერი იყო **ირაკლი პოპიაშვილი**, ხოლო უფროსებში – **არსენ მარტყოფლიშვილი** (I ადგილი) და **არსენ ბაბაჯანიანი** (II ადგილი). გუნდის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **დავით გონაშვილი**. გურჯაანიდან დაბრუნებულ წარმატებულ მოჭიდავეებს შთამბეჭდავი გამარჯვება მიულოცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ლევან ბაღაშვილმა**.

რაიონული პირველობა მინი-ფეხბურთში

დედოფლისწყაროში ჩატარდა რაიონული პირველობა მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქისა და რაიონის სოფლების ფეხბურთელები. თავიდანვე დაწინაურდა დედოფლისწყაროს გუნდი „ვარსკვლავი“, შეჯიბრების ბოლომდე არავის დაუთმო უპირატესობა და დამსახურებულად მოიპოვა რაიონის ჩემპიონის ტიტული. გუნდის მწვრთნელია **ზურაბ ჩალაბაშვილი**.

მეორე ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს ფეხბურთელთა გუნდმა „იმედი“, მესამე ადგილი წილად ხვდა სოფელ ქვემოქედის ფეხბურთელთა გუნდს. ტურნირის საუკეთესო მეკარედ **ამირან ელიოზიშვილი** დასახელდა, საუკეთესო მოთამაშედ – **ზურაბ პოპიაშვილი**, ტურნირის ბომბარდირის პრიზი **ლევან პოპიაშვილმა** დაიმსახურა. სამივე „ვარსკვლავის“ ფეხბურთელია, მათ სპეციალურად დაწესებული პრიზები გადაეცათ.

საპრიზო ადგილზე გასული გუნდები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

მარიკა პოპიაშვილი

მშობელთა კრება

დიპლომატია და არა – დესპოტიზმი

ბავშვობა ისეთი საპასუხისმგებლო პერიოდია, რომლის დროსაც ხდება პიროვნული თვისებების შექმნა, გაღვიძება, გარდაქმნა და საერთოდ ჩამოყალიბება. ყოველივე ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გარემოს შევუქმნით ბავშვს და რამდენად სწორ ფსიქოლოგიურ მიდგომას შევარჩევთ მასთან ურთიერთობისას, რომ ინდივიდად ჩამოყალიბდეს (იგულისხმება საკუთარი, დამოუკიდებელი შეხედულება და მოვლენების სწორი ანალიზის უნარი). რა თქმა უნდა, ეს მოვალეობა, უმთავრესად, მშობლებს ეკისრება.

ბავშვებთან ურთიერთობაში აუცილებელია საერთო ენის გამონახვა, ნებისმიერი პრობლემისადმი დიპლომატიური მიდგომა. უპირველესად, მშობელი უნდა ეცადოს შვილის ნდობის მოპოვებას და წმინდა მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, რაც გამოიხატება ხშირი მეგობრული საუბრებით, თუნდაც ჭორაობით, კამათითაც კი, რადგან ნათქვამია, კამათში ჭეშმარიტება იბადებაო. კამათი ხომ მეგობრებშიც დასაშვებია, მთავარია, აგებული იყოს სწორ არგუმენტებზე და არა პირად პრინციპებზე. ამით მოზარდი ეჩვევა განსხვავებული აზრის მოსმენას, გამოთქმას, შეფასებას და საერთოდ დისკუსიას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა მუდმივად, არამედ მხოლოდ საჭირო შემთხვევაში. აუცილებელია აზრის არგუმენტირებულად და გააზრებულად გათვალისწინება. არის თემები, როცა საკითხის ერთ პოზიციაში დანახვა შეუძლებელია, ასეთ დროს, მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ შვილი, მიუხედავად ბავშვური ასაკისა, ინდივიდია და დამოუკიდებელი შეხედულება აქვს. ღმერთმაც ხომ ადამიანი დამოუკიდებელ ინდივიდად შექმნა, რომელსაც არჩევანის უფლება მისცა. ეს მშობლებმაც უნდა გაითავისონ. მათი მოვალეობაა, აუხსნან, დაუსაბუთონ შვილს, თუ რატომ არის ესა თუ ის გზა მცდარი და რომელია უკეთესი, არჩევანი კი შვილს უნდა მივანდოთ და მათი გადაწყვეტილება უნდა შევაფასოთ, როგორც განსხვავებული აზრი. ამით მოზარდი ეჩვევა დამოუკიდებლობას, რაც აუცილებელია თითოეული ჩვენგანისთვის.

აკრძალული ხილი უფრო გემრიელიაო, ხოდა, ნუ ავუკრძალავთ, იგემონ საკუთარი მცდარი გადაწყვეტილების სიმწარე. ადამიანი ხომ შეცდომებზე სწავლობს, ამრიგად, ეცდება, იგივე ქვას ფეხი არ წამოკრას და სწორი გზით იაროს. თუკი ბავშვს რაიმეს გაკეთებას ვაიძულებთ და არ ეცოდინება ამ ნაბიჯის უპირატესობა, იმ შედეგს მივიღებთ, რომ უკვე ზრდასრულიც კი ვეღარ შეძლებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, პრობლემების თავად გადაჭრას და არჩევანის გაკეთებას, რადგან ყოველთვის მის მაგივრად წყვეტდნენ და სხვის აზრებს იყო დაქვემდებარებული. შვილთან ლოიალური ურთიერთობა იმ მიზნითაც უნდა გვქონდეს, რომ მცდარი ნაბიჯი მშობლისთვის დაფარული არ იყოს. სიმშვიდის შენარჩუნება და დამრიგებლური ხასიათის საუბარი აუცილებელია, ბავშვი რომ არ დავაფრთხოთ და სიმართლის თქმის სურვილი არ დავუკარგოთ.

ასევე, აღზრდის მეთოდიდან უნდა ამოვიღოთ ბავშვის ცემა, ეს ხომ უკიდურესი ზომაა, როდესაც ადამიანი ცხოველთანაა გაიგივებული. ცემით მხოლოდ ცხოველები იწვრთნებიან, რადგან ინსტინქტი ამოძრავებთ, ადამიანს კი – გონება. შიშზე აგებული ურთიერთობა მალე ინგრევა, რადგან ადამიანის გონება ამ შიშს სძლევს და ანალოგიურს გაიმეორებს, ამიტომ, მთავარია, შვილს ჰქონდეს არა მშობლის შიში, არამედ პატივისცემა და რიდი (ყოველივე დამოკიდებულია მშობელზე – რამდენად მისაბაძი იქნება შვილისთვის და რამდენად შეინარჩუნებს ამ მდგომარობას).

გარდა ამისა, აუცილებელია, პატარა მშვიდ გარემოში იზრდებოდეს, რადგან ყველაზე მეტად ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობას სწორედ მშობლებს შორის არსებული უთანხმოების მისი თანდასწრებით განხილვა არყევს.

როგორც თავში აღვნიშნეთ, ბავშვებთან ურთიერთობაში აუცილებელია დიპლომატიურობა და არა – დესპოტიზმი. მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემებიც ხომ დიპლომატიური გზით წყდება და არა ომით. იმედია, ზემოთ აღნიშნულ რჩევებს გაითვალისწინებთ და სასურველ შედეგს მიიღებთ.

ბავშვური შიში

ჩვენ კი გვგონია, რომ დეპრესიები და ნევროზი პრობლემებითა და საქმით გადატვირთულ-გადაქანცული უფროსების ხვედრია, მაგრამ სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ ბავშვები დიდებზე გაცილებით ხშირად იტანჯებიან ნევროზით.

ზოგჯერ უფროსების დეპრესიულობაც ბავშვობის სტრესებიდან მოდის.

სხვადასხვა ასაკის ჯანმრთელი ბავშვების შიშს ყოველთვის რეალური საფუძველი აქვს: ცხოვრებისეული სიტუაციები, ფილმები, მოსმენილი საშიში ისტორიები და ა.შ.

წლამდე ასაკის ბავშვს ხმაურის და დიდი ზომის საგნის მოახლოების ეშინია. მგრძნობიარეა დედის ნერვიულობის მიმართ. როცა დედა იცინის, ბავშვიც მშვიდადაა, როცა დედა შეშინებულია, ბავშვსაც შიში იპყრობს.

2-3 წლის პატარას ტკივილის, ექიმის, ზღაპრის ბოროტი პერსონაჟების ეშინია.

6-7 წლის ასაკში აცნობიერებს საკუთარი და ახლობელი ადამიანების სიკვდილის შიშს.

თუ თქვენს პირმშოს ბნელ ოთახში დაძინების ან მარტო დარჩენის ეშინია, არავითარ შემთხვევაში ბნელ ოთახში არ ჩაკეტოთ. არ იფიქროთ, რომ ეს სიბნელეს შეაჩვევს. პირიქით მოხდება, გათავისუფლების ნაცვლად, ახალ – მშობლის განრისხების და დაცინვის – შიშს შეიძენს.

შიში რომ არ გააღრმავოთ, რა უბრალოდაც უნდა გეჩვენებოდეთ მისი შიში, უნდა აჩვენოთ, რომ მის გვერდით ხართ, რომ მის ასაკში თქვენც გეშინოდათ და ა.შ.ზოგი მშობელი ბავშვის შიშს ჭირვეულობად მიიჩნევს, ხანდახან სჯის კიდეც, რაც სახიფათოა და არასწორი.

შიში ადამიანის თვითშეგნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ეტაპია, როცა ამა თუ იმ ეტაპის გავლისას ბავშვი მშობლის თანადგომას ვერ გრძნობს, საკუთარი ძალით ცდილობს მდგომარეობიდან გამოსვლას და იკეტება. თუ ისე მოხდა, რომ ვერ გაუმკლავდა, შიში ფობიაში გადაეზრდება.

ფობიაც შიშია, მაგრამ აკვიატებულობაში, ამოჩემებულობაში გადაზრდილი. საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვი ამ დროს ჩუმადაა ან პირიქით, აგრესიული და ფეთქებადია. ფობიაც სხვადასხვაგვარია: კლაუსტროფობია (ჩაკეტილი სივრცის შიში), სიოფიოფობია (ურთიერთობების შიში) და ნეზოფობია (სხვადასხვა დაავადების შიში). ფობია უკვე ნევროზის სიმპტომია.

ნევროზულ შიშს გაძლიერებული გულისცემა, სიცხე, შემცივნება, უძილობა, უმადობა ახლავს. მისი პირველივე გამოვლინებისას ექიმს უნდა მიმართოთ. როგორც წესი, 2-3 თვის მკურნალობის შემდეგ ნევროზი უკვალოდ ქრება.

ბავშვის ფსიქიკა საკმაოდ ფაქიზია, სამწუხაროდ, ყველა მშობელი ვერ აცნობიერებს ამას, უადგილო და უხეში შენიშვნით ან დაცინვით სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს. ეს ტრავმა, თავის მხრივ, ნევროზის საფუძველია და ბავშვის ხასიათის დეფორმირებაც შეუძლია.

საშობაო წეს-ჩვეულებები

საქართველოში, მეშვიდე საუკუნემდე, ახალ წელს აგვისტოში აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნის დამდეგამდე – სექტემბერში, შემდგომ კი ახალი წელი მარტში გადაიტანეს. მარტში ახალი წლის აღნიშვნა გამართლებულიც იყო, წელიწადი ხომ მართლა გაზაფხულზე იწყება?! რაც შეეხება შობას, ამ დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებდნენ, ამაზე დეკემბრის თვის ქართული სახელწოდება– ქრისტეშობისთვეც მეტყველებს.

მეკვლეს ფენომენი

ზოგადად, ახალი წელი კარგი საშუალებაა „ძველის დასავიწყებლად“ და ახალი ცხოვრების დასაწყებად პირობითი ზღვარი რომ გაავლო. ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს.

გარდა ამისა ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება. ტრადიციულად, ამ დღესასწაულის შინაარსიც სწორედ რამდენიმე სუფრის შემოვლასა და ახლობელი ოჯახების მილოცვა-დალოცვაში მდგომარეობს, რაც გარკვეული წესრიგის დამყარებას მოითხოვს.

წესრიგი კი მარტივად მყარდება, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ღამის 12 საათს საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარი ოჯახის წევრებთან ხვდებიან, რის შემდეგაც წინასწარ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება. თუმცა მანამდე მეკვლეობის მნიშვნელოვანი რიტუალია ჩასატარებელი.

მეკვლეობა სტუმარმასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება. მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება.

თვითონ სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, მეკვლემ ოჯახისკენ მიმავალი გზა უნდა გაკვალოს. თუმცა კვალიც არის და კვალიც, და ეს კვალი, პირველ რიგში, „ფეხზეა“ დამოკიდებული.

ქართველი კაცი, უცხო ოჯახში რომ შედის, კეთილი იყოს ჩემი ფეხიო – ამბობს. უცხო ფეხის შემოდგმას ოჯახში სიმბოლური დატვირთვა აქვს და „კეთილი და ბოროტი“ ფეხის ცრუ რწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ღირსეულ ოჯახს სტუმრისთვის კარი ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეს, საახალწლო სტუმარს არა რაღაც „სასურველი“, არამედ აუცილებელი სტატუსი ენიჭება. ამისთვის კი ეს საკითხი წინასწარ უნდა მოაგვარო.

საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. მაგრამ ისეთებიც არიან, ცხოვრებაში კაცისთვის არაფერი რომ არ უწყენინებიათ, მაგრამ მათი სტუმრობა თუ უბრალო დანახვა ვიღაც-ვიღაცეებს ცუდად აქვთ დაცდილი. მეკვლედ, რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანს არ დაპატიჟებ.

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა,“ – ასეთია მეკვლის დალოცვა.

სხვადასხვა კუთხეში ეს რიტუალი სხვადასხვანაირი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მეკვლე ვენახში შედიოდა და საგანგებოდ შემონახულ ყველაზე დიდ მტევანს, კარგ „ყოჩ ვაზთან“ დაწურავდა იმის ნიშნად, რომ წელი მოსავლიანი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, მეკვლეს ხორბალი შემოჰქონდა და იატაკზე მთესველივით ფანტავდა.

ადრექრისტიანული საახალწლო რიტუალები

საქართველოში ასეთი რიტუალები სრულდებოდა: საახალწლოდ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი, კვერის სახით ცხვებოდა და აგუნას პური ეწოდებოდა.

საახალწლო დღესასწაულზე სახლეულის მეთაური ჯალაბითურთ, დანთებული თაფლის სანთლებით, შედიოდა მარანში და იქ, სადაც საწნახელი იდგა, თან მიჰქონდა ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსი ამობრუნებულ საწნახელს თოხის ან ნაჯახის ყუას ურტყამდა და სიმღერით ღვთაებას შესთხოვდა:

„აგუნა, აგუნა დაგმიარე,
ბახვი, ასკანა, გადმოიარე,
ჩვენს მამულში ყურძენი,
სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი
სხვის მამულში კიმპალ-კიმპალი“ და ა.შ.

სიმღერა სამჯერ მეორდებოდა და პატარა ტაბლას მიუსხდებოდნენ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროს აგუნა ნაყოფიერებისა და სიუხვის მფარველად იყო მიჩნეული.

აგუნა-აგუნას მსგავსი წესი ჰქონდათ სამეგრელოშიც. საახალწლოდ გამომცხვარ ოთხ ხაჭაპურს გიდელში (ყურძნის საკრეფი კონუსისებური მოწნული კალათა) აწყობდნენ და გოგონას მარნისაკენ ატანდნენ. ამავე დროს, პატარა ბიჭს მარნიდან ერთი დოქი ღვინო გამოჰქონდა და გოგონას შესახვედრად მოემართებოდა. შეხვედრისას იმართებოდა ჭიდილი, გამარჯვებულს მთელი ნადავლი მარანში შეჰქონდა, სადაც ოჯახის წევრები იყვნენ თავმოყრილნი. იწყებოდა სარიტუალო სმა-ჭამა, აქაც საწნახელს გადაბრუნებდნენ და აგუნას წლის ბარაქას ავედრებდნენ.

ჭიდილში თუ ბიჭი გაიმარჯვებდა, იმ წელიწადს პურის და ღვინის მოსავალი კარგი იქნებოდა, თუ გოგონა – აბრეშუმისა და ყველა იმ მცენარეების, რომელთაც ქალი უვლიდა.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ასეთი წესიც იყო:ახალი წლის დილას მამალს კოდავდნენ, ოჯახის უფროსი სახლს შემოუვლიდა და „ვაზის პურით“, დოქი ღვინითა და დაკოდილი მამლით ვენახში მიდიოდა, სადაც უხვი მოსავლის თხოვნით ლოცვას აღავლენდა, შემდეგ ყვერულს მიწაში ჩაფლავდა, ვაზის პურს ღვინოს დააყოლებდა, ნაწილი კი მამალთან ერთად კვლავ სახლში მიჰქონდა. როგორც ჩანს, ვაზისა და მამლის ერთმანეთთან დაკავშირება, სიუხვისა და მოსავლიანობის სიმბოლოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

მთაში საქონლის დალოცვა იცოდნენ. ოჯახს რომ დალოცავდნენ, გომურში შედიოდნენ, გატეხავდნენ კვერცხს და საქონელს ტანზე უსვამდნენ, რათა იმ წელიწადს არ გაბერწებულიყო და კარგი ნაშიერი ჰყოლოდა.

იყო ასეთი რიტუალიც, როცა ხარი მდინარეზე ჩაჰყავდათ, წყალში ჩააყენებდნენ, მდინარის წყალს თვითონაც დალევდნენ და რქებზე სანთლებს აანთებდნენ. მერე სახლში შეჰყავდათ და კერას სამჯერ შემოატარებდნენ. შემდეგ მეკვლე მუგუზალს იღებდა, კერაში ურტყამდა და ნაპერწკლების ყოველ გაცვენაზე ილოცებოდა: „ამდენი ხარი, ამდენი ცხორი, ამდენი დოვლათი“... ნაპერწკალიც სიმრავლის სიმბოლო იყო.

ახალი წელი სამეფო კარზე

საქართველოს სამეფო კარის საახალწლო ეტიკეტი გამორჩეული იყო: მეფის საზეიმო შემოსვლა, მეკვლე, მილოცვები.

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრ მეჯინიბეთუხუცესი მეფეს სამ ცხენს მიართმევდა, ორი სამეფო ცხენი იყო, ერთი კი-ჯაგლაგი. ჯაგლაგს კლავდნენ და ხორცს სანადიროდ შეგულებულ ადგილას ყრიდნენ, რათა სუნით ნადირი მიეტყუებინათ.

ცისკრის ლოცვის წინ, სამეფო ოჯახში ჭყონდიდელი ჯვრითა და ხატით შემოდიოდა და ის უკვლევდა. ცისკრის ლოცვის შემდეგ კი, ნადირობა იმართებოდა. ამ დღეს ნადირისთვის არ უნდა აეცდინათ და ვისაც მიზანი უმტყუნებდა, იმას წელი ცუდად წაუვიდოდა.

საახალწლო მორთულობები

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩიჩილაკს დგამდნენ, აღმოსავლეთში კი - ნაძვის ხეს. ნაძვი სიცოცხლის, მარადიულობის სიმბოლოა, ჩიჩილაკს, კი მეორენაირად, ბასილასაც ეძახიან, მზის ფორმა აქვს და თავისი შინაარსით სიცოცხლეს განასახიერებს. მას, ძირითადად, თხილის ხისგან ამზადებენ და მერქნის ანათალების ბურბუშელას ხილითა და „ფოჩიანი კანფეტებით“ რთავენ.

ჩიჩილაკის მოსართავად კუნელსაც იყენებდნენ, რომელსაც ოთახში ტყისა და ბუნების ეფექტი შემოაქვს. კუნელის წითელ მარცვლებს, მძივივით აასხამენ და ბურბუშელაზე გარშემო ახვევენ.

ჩიჩილაკის თავი ოთხადაა გაყოფილი, ჭრილში ჯვარს სვამენ და ამ ჯვარზე ვაშლებს (ახლა უკვე ფორთოხლებსაც) და ბროწეულებს კიდებენ. ბროწეული სიმრავლის სიმბოლოა, ვაშლები კი – სიჯანსაღის. ზოგიერთები, უხვი წლის იმედით, აბაზიანებს ჭედავდნენ და ჩიჩილაკზე ჰკიდებდნენ.

ჩიჩილაკზე გაპუტულ ყვინჩილასაც კიდებენ, რომელსაც ბოლოსა და ფრთებზე ბუმბულები აქვს დატოვებული.

იმერლები ჩიჩილაკს ენდროთი წითლად ღებავდნენ. არსებობს გურული ე. წ. კალპიანი ჩიჩილაკიც.

კალანდა

რაც უნდა მშრალი იყოს ზამთარი, ძველით ახალ წელს მაინც გათოვდებაო, – ამბობენ გურიაში და მართლებიც არიან. 13 იანვრის ღამეს ყოველთვის თოვს, დგება ნამდვილი ახალი წელი – კალანდა.

გურიაში კალანდა ჩიჩილაკთან ერთად შემოდის.

ვიდრე კალანდობის ღამე შემოვა, წინასწარ, საცეცხლედ ცხემლას არჩევენ და 13 იანვარს ბუხარში შეუძახებენ. სანამ 12 საათზე თოფების გამაყრუებელი ბათქაბუთქი არ ამტყდარა, სოფელში მხოლოდ ძაღლების ყეფა, შეშის ტკაცუნი ისმის...

კალანდობის მზის სხივები – ჩიჩილაკის ბურბუშელაა (საერთოდ კი დღეს სიმბოლურად წმინდა ბასილის წვერადაა მიჩნეული), თავად ჩიჩილაკი კი – მზე. ზოგჯერ, გურიაში, 2-მეტრიან ჩიჩილაკებსაც თლიდნენ და ჯვრით ამკობდნენ, ხოლო ძირში სუროს უფენდნენ (გურულებმა ისიც იციან, რომ სურო ოლიმპის ერთმა ღმერთმა დიონისეს გადააფარა, რათა მტრების ცეცხლში არ დამწვარიყო). ჩიჩილაკზე შემოხვეული სურო სიმბოლურად სინედლესა და სიცოცხლეს უბედებდა ოჯახს, რომელშიც ახალი წლის მეორე დღეს ფეხადს (მეკვლეს), კეთილი გულით გამორჩეულ კაცს, ბარაქა შეჰქონდა.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 855 411668, 893 364240, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.ru, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.